

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
Известия Академии Наук Грузии
Proceedings of the Georgian Academy of Sciences

784^A_S
008

BIOLOGICAL SERIES

**ბიოლოგიის
სერია**

A

БИОЛОГИЧЕСКАЯ СЕРИЯ

იანვარი - აპრილი
Январь - Апрель
January - April

2008 № 1-2 34

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
Известия Академии Наук Грузии
Proceedings of the Georgian Academy of Sciences



ბიოლოგიის სერია
БИОЛОГИЧЕСКАЯ СЕРИЯ
BIOLOGICAL SERIES

A

2008 № 1-2

ტომი
TOM
VOL.

34

ჟურნალი დაარსებულია 1975 წელს
Журнал основан в 1975 году
Founded in 1975

თბილისი Тбилиси Tbilisi
2008

სარედაქციო კოლეგია

- | | |
|---------------------------|---------------------------|
| <i>ვაჟა ოკუჯავა</i> | (მთავარი რედაქტორი) |
| <i>გურამ ბეჭია</i> | (მთ. რედაქტორის მოადგილე) |
| <i>თემურ ნანეიშვილი</i> | (მთ. რედაქტორის მოადგილე) |
| <i>ალექსანდრე ქორელი</i> | (მდივანი) |
| <i>თამარ დეკანოსიძე</i> | <i>კიაზო ნადარეიშვილი</i> |
| <i>თეიმურაზ იოსელიანი</i> | <i>თენგიზ ონიანი</i> |
| <i>ნოდარ მითავარი</i> | <i>რომან შაქარიშვილი</i> |
| <i>დავით მიქელაძე</i> | <i>ნინო ჯავახიშვილი</i> |

სარედაქციო საბჭო

- | | |
|--------------------------|------------------------------|
| <i>ნელი ანთელავა</i> | <i>ნათელა ოკუჯავა</i> |
| <i>რევაზ ვაგუა</i> | <i>გივი სანაძე</i> |
| <i>ამირან გამყრელიძე</i> | <i>იგორ სვანიძე</i> |
| <i>მალხაზ ზაალიშვილი</i> | <i>გურამ ტატიშვილი</i> |
| <i>ფრიდონ თოდუა</i> | <i>ეთერ ქემერთელიძე</i> |
| <i>გიორგი კვესიტაძე</i> | <i>ვახტანგ ყიფიანი</i> |
| <i>პალიკო კინტრია</i> | <i>ნოდარ ყიფშიძე</i> |
| <i>ილია ლაზრიშვილი</i> | <i>ბექან წინამძღვრიშვილი</i> |
| <i>გელა ლეჟავა</i> | <i>სიმონ ხეჩინაშვილი</i> |
| <i>ლავრენტი მანავაძე</i> | <i>რამაზ ხეცურიანი</i> |
| <i>ბაადურ მოსიძე</i> | <i>არჩილ ხომასურაძე</i> |
| <i>გიორგი ნანეიშვილი</i> | |

კორექტორი: დ. სოხაძე

კომპიუტერული დიზაინი და დაკაბდონება: ა. სურმავა

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

<i>В. Оқуджава</i>	(гл. редактор)
<i>Г. Бекая</i>	(зам. гл. редактора)
<i>Т. Нанейшвили</i>	(зам. гл. редактора)
<i>А. Корели</i>	(секретарь)
<i>Т. Деканосидзе</i>	<i>К. Надарейшвили</i>
<i>Т. Иоселиани</i>	<i>Т. Ониани</i>
<i>Н. Митагвария</i>	<i>Р. Шакаришвили</i>
<i>Д. Микеладзе</i>	<i>Н. Джавахишвили</i>

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

<i>Н. Антелава</i>	<i>Н. Оқуджава</i>
<i>Р. Гагуа</i>	<i>Г. Санадзе</i>
<i>А. Гамкрелидзе</i>	<i>И. Сванидзе</i>
<i>М. Заалишвили</i>	<i>Г. Татишвили</i>
<i>Ф. Тодуа</i>	<i>Э. Кемертелидзе</i>
<i>Г. Квеситадзе</i>	<i>В. Кипиани</i>
<i>П. Кинтрая</i>	<i>Н. Кипишидзе</i>
<i>И. Лазришвили</i>	<i>Б. Цинамдзгвришвили</i>
<i>Г. Лежсва</i>	<i>С. Хечинашвили</i>
<i>Л. Манагадзе</i>	<i>Р. Хецуриани</i>
<i>Б. Мосидзе</i>	<i>А. Хомасуридзе</i>
<i>Г. Нанейшвили</i>	

Корректор: *Д. Сохадзе*

Компьютерный дизайн и верстка: *А. Сурмава*

Издано неправительственной организацией “Биомед”, 2008

Тбилиси, 0160, ул. Л. Готуа, 14

EDITORIAL BOARD

<i>V. Okujava</i>	(Editor-in-Chief)
<i>G. Bekaya</i>	(Vice-Editor)
<i>T. Naneishvili</i>	(Vice-Editor)
<i>A. Koreli</i>	(Executive Secretary)
<i>T. Dekanosidze</i>	<i>K. Nadareishvili</i>
<i>T. Ioseliani</i>	<i>T. Oniani</i>
<i>N. Mitagvaria</i>	<i>R. Shakarishvili</i>
<i>D. Mikeladze</i>	<i>N. Javakhishvili</i>

ADVISORY BOARD

<i>N. Antelava</i>	<i>N. Okujava</i>
<i>R. Gagua</i>	<i>G. Sanadze</i>
<i>A. Gamkrelidze</i>	<i>I. Svanidze</i>
<i>M. Zaalishvili</i>	<i>G. Tatishvili</i>
<i>F. Todua</i>	<i>E. Kemertelidze</i>
<i>G. Kvesitadze</i>	<i>V. Kipiani</i>
<i>P. Kintraya</i>	<i>N. Kipshidze</i>
<i>I. Lazrishvili</i>	<i>B. Tsinamdzgvrishvili</i>
<i>G. Lezhava</i>	<i>S. Khechinashvili</i>
<i>L. Managadze</i>	<i>R. Khetsuriani</i>
<i>B. Mosidze</i>	<i>A. Khomassuridze</i>
<i>G. Naneishvili</i>	

Proof-reader: *D. Sokhadze*

Computer design and make-up: *A. Surmava*

შინაარსი**СОДЕРЖАНИЕ****CONTENTS****მრითროციტების ფორმითი მორფოლოგიური და ფუნქციური მახასიათებლები მოხუცებულების ასაკში**

მ. არაბული, რ. ხეცურიანი, ა. შუაკიძე, ც. ხომერიკი, თ. ყიფიანი

НЕКОТОРЫЕ МОРФОЛОГИЧЕСКИЕ И ФУНКЦИОНАЛЬНЫЕ ПОКАЗАТЕЛИ ЭРИТРОЦИТОВ У ЛИЦ СТАРЧЕСКОГО ВОЗРАСТА

М. Арабули, Р. Хецуриани, А. Шукакидзе, Ц. Хомерики, Т. Кипиани

SOME MORPHOLOGICAL AND FUNCTIONAL CHARACTERISTICS OF ERYTHROCYTES IN ELDERLY PEOPLE

M. Arabuli, R. Khetsuriani, A. Shukakidze, C. Khomeriki, T. Kipiani 1

სტრეს-რეაქცია და მისი ექსპერიმენტული მოდელი

თ. ბაგაშვილი, თ. ჯორბენაძე, ნ. ცინცაძე, ნ. ომიადე

СТРЕСС-РЕАКЦИЯ И ЕЁ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МОДЕЛЬ

Т. Багашвили, Т. Джорбенадзе, Н. Цинцадзе, Н. Омиадзе

STRESS-REACTION AND ITS EXPERIMENTAL MODEL

T. Bagashvili, T. Jorbenadze, N. Tsintsadze, N. Omiadze..... 7

КОМБИНИРОВАННОЕ ЛЕЧЕНИЕ РАКА НИЖНЕЙ ГУБЫ

К.В. Гуджабидзе, К.М. Мардалишвили, Т.В. Окропиридзе, Г.Г. Парулава

ძველად ტუჩის კიბოს კომბინირებული მკურნალობა

კ. გუჯაბიძე, კ. მარდალესვილი, თ. ოკროპირიძე, გ. ფარულავა

COMBINED TREATMENT OF LOWER LIP CANCER

K. Gujabidze, K. Mardalieshvili, T. Okropiridze, G. Parulava..... 19

**წყალბადის იონების როლი ცერებრული სისხლძარღვების
ნახშირორქანებით ინდუცირებულ ვასოდილატაციაში**

ო. დიასამიძე, ზ. ბოლქვაძე, მ. ჯანელიძე, გ. ბეკაია, ნ. მითაგვარია

**РОЛЬ ИОНОВ ВОДОРОДА В CO₂-ИНДУЦИРОВАННОЙ ВАЗОДИЛЯТАЦИИ
СОСУДОВ ГОЛОВНОГО МОЗГА**

И. Диасамидзе, З. Болквдзе, М. Джanelidze, Г. Бекайа, Н. Митагвария

**THE ROLE OF HYDROGEN IONS IN CO₂-INDUCED VASODILATATION OF
CEREBRAL VESSELS**

I. Diasamidze, Z. Bolkvadze, M. Janelidze, G. Bekaya, N. Mitagvaria..... 23

**ნახშირბადის სხვადასხვა წყაროების გავლენა STREPTOMYCES გვარის
აქტინომიციტების ზოგიერთი სახეობის ზრდა-განვითარებაზე**

ნ. კოტია, ზ. ლომთათიძე

**ВЛИЯНИЕ РАЗЛИЧНЫХ ИСТОЧНИКОВ УГЛЕРОДОВ НА РОСТ И РАЗВИТИЕ
НЕКОТОРЫХ ВИДОВ АКТИНОМИЦЕТОВ СЕМЕЙСТВА STREPTOMYCES**

Н. Котия, З. Ломтатидзе

**EFFECT OF DIFFERENT CARBON SOURCES ON GROWTH AND DEVELOPMENT
OF SOME SPECIES OF STREPTOMYCES**

N. Kotia, Z. Lomtadidze 33

**BEHAVIORAL STUDIES OF FEATURE FUSION PROCESSES
IN THE CAT'S VISUAL SYSTEM**

N. Lomashvili, M. Khomeriki, M. Kunchulia, G. Tsartsidse, A. Kezeli

**მხედველობით ნიშანთა შერწყმის პროცესის კვლევა
კატების მხედველობით სისტემაში**

ნ. ლომაშვილი, მ. ხომერიკი, მ. კუნჭულია, გ. ცარციძე, ა. კეზელი

**ПОВЕДЕНЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ ПРОЦЕССА ИНТЕГРАЦИИ
ЗРИТЕЛЬНЫХ ПРИЗНАКОВ В ЗРИТЕЛЬНОЙ СИСТЕМЕ КОШЕК**

Н. Ломашвили, М. Хомерики, М. Кунчулия, Г. Царцидзе, А. Кезели 41

**ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიკრობული ბიოდეგრადაციის
ხარისხის შესწავლა ბათუმის ტერიტორიიდან გამოყოფილი
ნავთობდამსუბუქებელი მიკროორგანიზმების საშუალებით**

მ. მჭედლიშვილი, ქ. მამულაშვილი, ნ. კლარჯეიშვილი, ნ. ხვედელიძე

**ИЗУЧЕНИЕ СТЕПЕНИ БИОДЕСТРУКЦИИ НЕФТИ И НЕФТЕПРОДУКТОВ
С ПОМОЩЬЮ НЕФТЕОКСИЛЯЮЩИХ МИКРООРГАНИЗМОВ,
ВЫДЕЛЕННЫХ НА ТЕРРИТОРИИ г. БАТУМИ**

М. Мchedlishvili, К. Мамулашвили, Н. Кларджейшвили, Н. Хведелидзе

**STUDY OF THE PETROLEUM AND PETROCHEMICALS MICROBIAL
BIODEGRADATION BY MEANS OF OIL DECOMPOSER MICROORGANISMS,
SINGLED OUT FROM THE BATUMI TERRITORY**

M. Mchedlishvili, K. Mamulashvili, N. Klarjeishvili, N. Khvedelidze 47

**ОНТОГЕНЕТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ТРАНСФОРМАЦИИ АГРЕССИИ:
ВЗАИМОСВЯЗЬ С ХАРАКТЕРИСТИКАМИ ЭМОЦИОНАЛЬНО-
ЛИЧНОСТНОЙ СФЕРЫ**

И.Э. Секоян

**აგრესიის ტრანსფორმაციის ონტოგენეტიკური ასპექტები:
შრტიერთკავშირი ემოციურ-პროვნული
სფეროს მახასიათებლებთან**

ი. სეკოიანი

**ONTOGENETIC ASPECTS OF TRANSFORMATION OF AGGRESSION:
INTERRELATION WITH CHARACTERISTICS OF
EMOTIONAL-PERSONAL SPHERE**

I.E. Sekoyan 53

**LOW FREQUENCY MAGNETIC FIELD EFFECTS
ON SYNAPTIC HABITUATION OF THE SINGLE NEURON**

B. Partsvania, Z. Modebadze, T. Surguladze, L. Shoshiashvili, L. Andriadze, L. Saneblidze

**დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველების გავლენა
ცალკეული ნეირონის სინაფსურ მიხვევაზე**

ბ. ფარცვანია, ჯ. შოშიაშვილი, ზ. მოდებაძე, თ. სურგულაძე, ლ. ანდრიადე,
ლ. სანებლიძე

**ВЛИЯНИЕ НИЗКОЧАСТОТНЫХ ЭЛЕКТРОМАГНИТНЫХ ПОЛЕЙ
НА СИНАПТИЧЕСКОЕ ПРИВЫКАНИЕ ОТДЕЛЬНОГО НЕЙРОНА**

Б. Парцвания, Л. Шошиашвили, З. Модебадзе, Т. Сургуладзе, Л. Андриадзе,
Л. Санеблидзе 63

ИЗМЕРЕНИЕ ТЕРРИТОРИИ ДВИГАТЕЛЬНЫХ ЕДИНИЦ МЫШЦ

А.С. Харибегашвили

კუნთების მამოძრავებელი ერთეულის ტერიტორიის გაზომვა

ა. ხარიბეგაშვილი

MEASUREMENT OF THE MUSCLE MOTOR UNITS' TERRITORY

A.S. Kharibegashvili 71

**პაციენტის ფსიქოლოგიური ტიპის მნიშვნელობის როლი
მთლიანი მოსახსნელი პროთეზებისაღმე ადაპტაციაში**

მ. ჯერვალაძე, მ. კალანდაძე, ვლ. მარგველაშვილი

**РОЛЬ ПСИХОЛОГИЧЕСКОГО ТИПА ПАЦИЕНТА
ПРИ АДАПТАЦИИ К ПОЛНЫМ СЪЕМНЫМ ПРОТЕЗАМ**

М. Джервалидзе, М. Каландадзе, В. Маргвелашвили

**ROLE OF PSYCHOLOGICAL TYPE OF THE PATIENT
AT ADAPTATION TO FULL REMOVABLE DENTURE**

M. Jervalidze, M. Kalandadze, V. Margvelashvili 75

СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ АДАПТАЦИИ К ПОЛНЫМ СЪЕМНЫМ
ПРОТЕЗАМ, ИЗГОТОВЛЕННЫХ ИЗ АКРИЛОВОЙ ПЛАСТМАССЫ
И ТЕРМОПЛАСТОВ МЕДИЦИНСКОЙ ЧИСТОТЫ

М. Джервалидзе, М. Каландадзе, В. Маргвелашвили

აკრილის პლასტმასისა და სამედიცინო სისუთთავის
თერმოპლასტმასისგან დამზადებული მთლიანი მოსახსნელი
ვირფიტოვანი პროთეზების ადაპტაციის შედარებითი ანალიზი

მ. ჯერვალიძე, მ. კალანდაძე, ვლ. მარგველაშვილი

COMPARATIVE ANALYSIS OF ADAPTATION TO FULL REMOVABLE LAMINAR
DENTURE MADE OF ACRYLIC RESIN AND THERMOPLASTICS OF MEDICAL PURITY

M. Jervalidze, M. Kalandadze, V. Margvelashvili..... 81

მძოკარდოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკა პრედუქტალითა და
პრესტარიუმით კომბინირებული მიკროინფარქტის მიოკარდიუმის
მრეველი ინფარქტის შემდგომ პერიოდში

ნ. ჯინჯოლია, ი. მეგრელაძე

ДИНАМИКА ЭХОКАРДИОГРАФИЧЕСКИХ ПОКАЗАТЕЛЕЙ
ПРИ КОМБИНИРОВАННОЙ ТЕРАПИИ С ПРЕДУКТАЛОМ
И ПРЕСТАРИУМОМ В ПОСТИНФАРКТНОМ ПЕРИОДЕ

Н. Джинджолия, И. Мегреладзе

DYNAMICS OF ECHOCARDIOIGRAPHIC CHANGES
AGAINST THE BACKGROUND OF COMPLEX THERAPY WITH
PREDUCTAL AND PRESTARUM AFTER MYOCARDIAL INFARCTION

N. Jinjolia, I. Megreladze..... 87

პრედუქტალისა და პრესტარიუმის კომბინირებული თერაპიის უეფექტურობის
მარცხენა პარკუჭის რემოდელირებასა და ფუნქციურ მდგომარეობაზე
პოსტინფარქტულ პერიოდში

ნ. ჯინჯოლია, ი. მეგრელაძე

ЭФФЕКТ КОМБИНИРОВАННОЙ ТЕРАПИИ ПРЕДУКТАЛА С ПРЕСТАРИУМОМ
НА РЕМОДЕЛИРОВАНИЕ И ФУНКЦИОНАЛЬНОЕ СОСТОЯНИЕ ЛЕВОГО
ЖЕЛУДОЧКА В ПОСТИНФАРКТНОМ ПЕРИОДЕ

Н. Джинджолия, И. Мегреладзе

EFFECT OF COMPLEX THERAPY WITH PREDUCTAL AND PRESTARUM
ON REMODELING AND FUNCTIONAL STATE OF THE LEFT VENTRICLE
IN POSTINFARCTION PERIOD

N. Jinjolia, I. Megreladze..... 95

რევენზია სახელმძღვანელოზე “სამედიცინო ბიოლოგია”
РЕЦЕНЗИЯ НА РУКОВОДСТВО “МЕДИЦИНСКАЯ БИОЛОГИЯ”
REVIEW OF A HANDBOOK “MEDICAL BIOLOGY”

103

ერიტროციტების ზოგიერთი მორფოლოგიური და ფუნქციური მახასიათებლები მოხუცებულობის ასაკში

მ. არაბული, რ. ნეცურია, ა. შუკაკიძე, ც. ნომერიკი, თ. ყიფიანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 15.01.2008

კვლევის მიზანს შეადგენდა მოხუცებულთა ერიტროციტების მორფოლოგიური და ფუნქციური მახასიათებლების დადგენა. კონკრეტულად, კათიონების, დიამეტრისა და ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტიურობის ცვლილებების შესწავლა. ამისთვის გამოვიკვლიეთ მოხუცებულების ერიტროციტების მაჩვენებლები და შევადარეთ ახალგაზრდა ასაკის ადამიანების (საკონტროლო ჯგუფი) ერიტროციტების შესაბამის მაჩვენებლებს. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოხუცებულების ერიტროციტებში ადგილი აქვს კათიონების დაგროვებას, რაც, თავის მხრივ მოქმედებს ერიტროციტების დიამეტრის ზრდაზე. რაც შეეხება ანტიოქსიდანტური ფერმენტების მაჩვენებლებს, მათი აქტიურობა მოხუცებულთა ერიტროციტებში მატულობს, განსაკუთრებით გლუკოზოზოფოსფატდეჰიდროგენაზასი, რაც ორგანიზმში ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გამაღიერებელი გენერაციის საპასუხოდ განვითარებული ადაპტაციური რეაქციის შედეგს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დღევრამდენობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს გენეტიკურ, გარემომცველ და სხვა ფაქტორებთან ერთად ამ რეაქციის წარმატებული მიმდინარეობა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ერიტროციტი, კათიონები, ანტიოქსიდანტური ფერმენტები

ორგანიზმის დაბერების პროცესში ქსოვილთა უმრავლესობა მნიშვნელოვან მორფოფუნქციურ ცვლილებებს განიცდის. მექანიზმები, რომლებიც სიცოცხლის ხანგრძლივობას და ასაკდამოკიდებულ ფენოტიპურ ცვლილებებს აკონტროლებს, კვლავ კვლევის საგნად რჩება. მრავალუჯრედიანი ორგანიზმის დაბერების პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკეულ უჯრედებში მიმდინარე პროცესების ერთობლიობა და ამავე დროს, ერთეული უჯრედის სიკვდილის მექანიზმი შეიძლება განვაზოგადოთ მთელი ორგანიზმის დონეზე. ცალკეულ უჯრედებში მეტაბოლიზმის ასაკთან დაკავშირებული ცვლილებების შესწავლისთვის საუკეთესო მოდელს წარმოადგენს ერიტროციტი. ეს განპირობებულია ამ უჯრედების სიცოცხლის ხანმოკლე ხანგრძლივობით (120 დღე) და რეპროდუქციის უნარობით.

ერთროციტები მრავალფუნქციური უჯრედებია. ისინი აირთა ტანის გარდა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სისხლის მიმოქცევაში, მონაწილეობენ სისხლის რეოლოგიური თვისებების რეგულირებაში, ზეგავლენას ახდენენ თრომბოციტების ფუნქციაზე [5], ურთიერთქმედებენ ენდოთელიუმთან [6]. მათ აქვთ აქტივირებულ T უჯრედებში სპეციფიკური იმუნური პასუხის და აპოპტოზის [7] რეგულირების უნარი, თრგუნავენ ნეიტროფილების აპოპტოზს [8].

ერთროციტების რეოლოგიური თვისებები დამოკიდებულია მათ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე: დეფორმაბელობაზე [1, 2], აგრეგაციისა [1] და კოაგულაციის უნარზე [4], აზოტის ჟანგის პროდუქციის ინტენსივობაზე [3] და სხვ.

კვლევის მიზანია მოხუცებულთა ერთროციტებში კათიონების, დიამეტრისა და ანტიოქსიდაციური ფერმენტების აქტიურობის ცვლილებების შესწავლა.

კვლევის მასალა და მეთოდები

გამოკვლეული იყო ზრდასრულებისა და მოხუცებულობითი ასაკის ადამიანთა ერთროციტები (45 ადამიანი), მათ შორის 30 ზრდასრული (22-30 წლის) და 15 მოხუცებული (75-89 წლის).

საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენდა ზრდასრულები.

მორფოლოგიური კვლევისთვის დილით ვიღებდით სისხლს ვენიდან, ვამზადებდით ნაცხს, რომელსაც ვღებავდით სუდან შავით მაკმანუსის მეთოდით.

ერთროციტების დიამეტრს ვზომავდით სინათლის მიკროსკოპით ოკულარმიკრომეტრის გამოყენებით.

ერთროციტებში Na^+ და K^+ შემცველობას ვსაზღვრავდით ალიანი ფორმეტრის საშუალებით.

ანტიოქსიდაციური ფერმენტების აქტიურობას ვსაზღვრავდით სპექტროფორმეტრ CФ-46 (JOMO) საშუალებით. ერთროციტებში სუპეროქსიდდისმუტაზის (სოფ) აქტიურობას ვსაზღვრავდით ფრედის (Fried) მეთოდით, რომელიც მოდიფიცირებული იყო მაკარენკოს (E.B. Макаренко) მიერ. ერთროციტებში გლუტათიონრედუქტაზის (ბრ) აქტიურობას ვსაზღვრავდით ნაკრების "Glutathion Reductase Assay Kit" (Sigma), ხოლო გლუკოზო-6-ფოსფატდეჰიდროგენაზას (ბ-6-ფფ) ვსაზღვრავდით ნაკრების "Glucose-6-Phosphate-Dehydrogenase" (Sigma) საშუალებით.

მასალა დამუშავებულია სტატისტიკურად სტიუდენტის t-კრიტერიუმით და მიღებული შედეგები სარწმუნოა.

შედეგები და მათი განხილვა

ერთროციტების დიამეტრის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მოხუცებულებში იგი $6,3 \pm 0,3$ მკმ-ს შეადგენს, რაც ზრდასრული ადამიანების ერთროციტების დიამეტრთან შედარებით (საკონტროლო ჯგუფი) 9%-ით მეტია.

რაც შეეხება კალიუმისა და ნატრიუმის იონების შემცველობას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოხუ-

ცებულებში K^+ -ის შემცველობაა $156,0 \pm 3,5$ ანუ 11%-ით მეტია ზრდასრულებთან შედარებით. Na^+ შემცველობა ზრდასრულებში აღმოჩნდა $25,3 \pm 0,8$ -ის ტოლი, ხოლო მოხუცებულების ერთროციტებში Na^+ შემცველობა იყო $32,8 \pm 0,8$, რაც 29,6%-ით მეტია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ცხრილი 1

ერთროციტების დიამეტრის ცვლილებები ასაკზე დამოკიდებულებით

ასაკი	დიამეტრი (მკმ)
ზრდასრულები (22-30 წწ.)	$5,8 \pm 0,5$
მოხუცებულები (75-89 წწ.)	$6,6 \pm 0,3$

ცხრილი 2

ერთროციტებში K^+ და Na^+ იონების შემცველობის ასაკობრივი ცვლილებები

ასაკი	K^+	Na^+
ზრდასრულები (22-30 წწ.)	$140,6 \pm 0,8$	$25,3 \pm 0,8$
მოხუცებულები (75-89 წწ.)	$156,0 \pm 3,5$	$32,8 \pm 0,8$

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ერთროციტებში ჩვენ მიერ გამოვლენილია ანტიოქსიდაციური ფერმენტების აქტიურობის სარწმუნო ცვლილებები. მოხუცებული ასაკის პირების სისხლში სოდის აქტიურობა 17%-ით იზრდება, გლუკოზო-6-ფოსფატდეჰიდროგენაზას აქტიურობა 60%-ით მატულობს, ხოლო გლუტათიონრედუქტაზას აქტიურობა არ იცვლება ზრდასრული ასაკის (საკონტროლო ჯგუფი) პირებისთვის დამახასიათებელ მაჩვენებლებთან შედარებით.

ცხრილი 3

ერთროციტებში ანტიოქსიდაციური ფერმენტების აქტიურობის ცვლილებები

ასაკი	სოდ	ბ-6-ფდ	ბრ
ზრდასრულები (22-30 წწ.)	$45,9 \pm 5,9$	$7,2 \pm 0,2$	$47,3 \pm 2,5$
მოხუცებულები (75-89 წწ.)	$75,9 \pm 8,9$	$11,5 \pm 1,1$	$50,8 \pm 2,2$

მიღებული შედეგების განსჯა

როგორც ცნობილია, უჯრედის მთლიანობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს Na^+ -ის ტუმბო, რომელიც ინჰიბირდება შიგაუჯრედოვანი ჭარბი კალციუმის იონების მიერ, რომლებსაც მაღალი აფინობა გააჩნია მემბრანაშეკავშირებული ალკილური კათიონური არხების მიმართ. ამ იონებ-

თან ურთიერთქმედების შედეგად მცირდება არხების განვლადობა და Na^+ გროვდება ერთროციტის შიგნით (რაც გამოვლინდა მოხუცებულობის ასაკის ინდივიდების ერთროციტებში).

აღსანიშნავია, რომ ერთროციტებში შიგაუჯრედული კალციუმის იონების დაგროვება იწვევს კალიუმის ნაკადის ცვლილებებს [9]. K^+ -ის გახველა უჯრედიდან იმყოფება მეტაბოლური კონტროლის ქვეშ და რეგულირდება ADP/ATP-ის შეფარდებით (პარამეტრი, რომელიც იზრდება უჯრედის ასაკთან ერთად) [10] ანუ უჯრედში ATP-ის ნორმალური დონის შენარჩუნების პირობებში Ca^{2+} -დამოკიდებული K^+ -ის არხების აფინობა კალციუმის იონების მიმართ ძალიან დაბალია [11]. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოხუცებულ პირებში მაღალი ენერგეტიკული რესურსების მქონე ახალგაზრდა ერთროციტების პოპულაციის სიჭარბე შიგაერთროციტული Na^+ -ის დაგროვების პირობებში K^+ -ს ნაკადის სტაბილობას უზრუნველყოფს. მოხუცებული პირების ერთროციტებში შიგაერთროციტული Na^+ -ის დაგროვების პირობებში K^+ -ს ნაკადის სტაბილურობა ერთროციტების მაღალი ენერგეტიკული რესურსების შესახებ მეტყველებს.

რაც შეეხება ანტიოქსიდაციურ ფერმენტებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოხუცებულ პირებში აღგილი აქვს ერთროციტების ანტიოქსიდაციური ფერმენტების აქტიურობის მომატებას. ლიტერატურის მონაცემები მოწმობს მოხუცებულობის ასაკში თავისუფალრადიკალური ჟანგვის პროცესების ინტენსიფიკაციას. ნაჩვენებია, რომ სხვადასხვა ბიოლოგიური სახეობების ინდივიდებში სიცოცხლის ხანგრძლივობა კორელირებს ანტიოქსიდაციური ფერმენტების აქტიურობის დონესთან. ნაჩვენებია, რომ მოხუცებულებში ერთროციტული მემბრანები შედარებით უფრო მდგრადია ოქსიდაციური სტრესის დამაზიანებელი ზემოქმედების მიმართ, ვიდრე ახალგაზრდებში. მაშასადამე, მოხუცებულ პირებში ანტიოქსიდაციური ფერმენტების აქტიურობის ზომიერი მატება ორგანიზმში ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებული გენერაციის საპასუხოდ განვითარებული ადაპტაციური რეაქციის შედეგს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დღევანდელის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს გენეტიკურ, გარემომცველ და სხვა ფაქტორებთან ერთად ამ რეაქციის წარმატებული მიმდინარეობა წარმოადგენს.

მოხუცებულების ერთროციტულ მასაში ანტიოქსიდაციური სისტემის აქტივაცია ორგანიზმში ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებული გენერაციის საპასუხოდ დაცვითი, ადაპტაციური რეაქციის გამოვლინებას წარმოადგენს და ამ უჯრედების ჰემოლიზისგან დაცვას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა

1. Baskurt O.K., Temis A. J. Lab. Clin. Med., 1997, 130, 183-190.
2. Bottichel D.C., Keller H., Mali F.E. Br. J. Haematol., 1993, 83, 130-137.
3. Kengatharan K.M., De Kimple S.J. Br. J. Pharmacol., 1996, 119, 1411-1421.
4. Levi M., van der Poll T., van Deventer S.J. Eur. Invest., 1997, 27, 3-9.
5. Andrews D.A., Low P.S. Curr. Opin. Hematol., 1999, 6, 76-82.
6. May J.M., Qu Z-C., Cobb C.E. Am. J. Physiol., Cell Physiol., 2000, 279, C1946-C1954.

7. *Fonseca A.M., Porto G., Arosa F.* Immunology, 2001, 97, 3152-3160.
8. *Aoshiba K., Nakajima Y., Yasui S., Tamaiki J., Nagai A.* Blood, 1999, 93, 4006-4010.
9. *Romero P. J.* Biochem Biophys. Acta., 1978, 507, 178-181.
10. *Lew V.L., Ferreira H.G.* Nature, 1976, 263, 336-338.
11. *Romero P.J. J.* Membrane Biol., 1976, 29, 329-343.

НЕКОТОРЫЕ МОРФОЛОГИЧЕСКИЕ И ФУНКЦИОНАЛЬНЫЕ ПОКАЗАТЕЛИ ЭРИТРОЦИТОВ У ЛИЦ СТАРЧЕСКОГО ВОЗРАСТА

М. Арабули, Р. Хецуриани, А. Шукакидзе, Ц. Хомерики, Т. Кипиани

Тбилисский Государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Целью исследования было установить возрастозависимые изменения морфо-функциональных параметров эритроцитов у человека. Для достижения намеченной цели, сочли необходимым определить содержание в эритроците катионов (Na^+ и K^+), морфологический показатель эритроцита (диаметр), активность антиоксидантных ферментов в эритроцитах (супероксиддисмутазы, глутатионредуктазы и глюкозо-6-фосфат-дегидрогеназы). Были исследованы эритроциты 2-х возрастных групп людей – зрелого (22-30 лет) и старческого возраста (75-89 лет).

Исследования показали, что у лиц старческого возраста имеется компенсаторное повышение активности антиоксидантных ферментов. Более того, показано, что у лиц старческого возраста эритроцитарная мембрана относительно более устойчива к повреждающему воздействию оксидационного дистресса, чем у молодых. Следовательно, умеренное повышение активности антиоксидантных ферментов следует рассматривать как компенсаторную реакцию, развившуюся в ответ на усиленную генерацию реактивных кислородных соединений в организме. Следует отметить, что одним из факторов, способствующих увеличению продолжительности жизни, наряду с генетическими, факторами окружающей среды и т. д., является успешная детоксикация свободнорадикальных форм кислорода.

SOME MORPHOLOGICAL AND FUNCTIONAL CHARACTERISTICS OF ERYTHROCYTES IN ELDERLY PEOPLE

M. Arabuli, R. Khetsuriani, A. Shukakidze, C. Khomeriki, T. Kipiani

Tbilisi State Medical University

SUMMARY

The goal of the research was to study age-related changes in Na^+ and K^+ ions of erythrocytes, changes in their diameter and in activity of inter-erythrocyte antioxidant ferments – SOD, GR and G-6-PDG. The studies have been carried out on two age groups: adults (22-30 years old) and elderly (75-89 years old). Based on the results, it may be assumed that the diameter of the

erythrocytes among elderly remains almost unchanged. But content of K^+ in the erythrocytes of elderly increases and signifies their high-resourcefulness. The content of Na^+ ions increases among the elderly in comparison with adults. This is caused by the inhibition of Na^+ pump as a result of the accumulation of intracellular Ca^{2+} ions. Activity of intra-erythrocyte antioxidant ferments – SOD, GR and G-6-PDG increases among the elderly people; this is a compensatory reaction of the body induced by increased generation of free-radical forms of oxygen and preventing premature hemolysis of erythrocytes.

სტრეს-რეაქცია და მისი ექსპერიმენტული მოდელი

თ. ბაგაშვილი, თ. ჯორბენაძე, ნ. ცინცაძე, ნ. თბილაძე

ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტი

მიღებულია 11.04.2008

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის პოსტრავმაული სტრესული დაზიანების მსგავსი პათოგენური სტრესის მოდელის მეტ-ნაკლები ადეკვატურობით შექმნა ლაბორატორიული, დამშეული თეთრი ხაზის ვირთაგვებში, რისთვისაც გამოიყენებოდა მაღალსიხშირული დენით (1,5 მეგაჰერცი, 0,3-1 ვატი) მიყენებული მტკივნეული გაღიზიანების შეუღლებას საკვების მოპოვებასთან. ექსპერიმენტების ბოლოს შესწავლილ იქნა თავის ტვინის ქსოვილში შესაძლო პათომორფოლოგიურ ცვლილებებს.

ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა შემდეგი:

პოსტრავმაული სტრესული დაზიანების მქონე ადამიანებსა და ცხოველურ მოდელს შორის არსებობს სიმპტომური მსგავსება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პათოგენური სტრეს-რეაქციის მოდელია; სტრესორის ხანგრძლივი და მზარდი მოქმედება ასუსტებს ორგანიზმის ანტი-სტრესული სისტემის მოქმედებას მის სრულ დათრგუნვამდე, რაც სტრესის გამოფიტვის სტადიის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა; სტრესული სიტუაცია ინდივიდებს შორის აყალიბებს კონკურენტულ, აგრესიულ დამოკიდებულებას; დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქში (განსაკუთრებით პირამიდულ შრეში) და ნათხემში (განსაკუთრებით ფირფიტის თეთრ ნივთიერებაში) იქმნება კეროვანი სისხლჩაქცევები, პერივასკულური და პერიცელულური შეშუპებები, ასევე აღინიშნება კარგად გამოხატული სისხლ-საეცვლავ ტვინის ქსელურ გარსში.

საკვანძო სიტყვები: სტრეს-რეაქცია, მოდელირება, ადაპტაცია, ვირთაგვა, ტრავმა, პათომორფოლოგიური ანალიზი

ცნობილია, რომ ის აგენტები, რომელთა მუდმივი ზემოქმედების პირობებში უხდება არსებობა ადამიანის ორგანიზმს, თავიანთი ინტენსივობით აღემატება ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორულ შესაძლებლობებს, იწვევს ორგანიზმის ზოგადი ადაპტაციური სინდრომის ჩამოყალიბებას. ადაპტაციური სინდრომის მრავალჯერად განვითარებას შეუძლია გამოიწვიოს იმ სისტემების გამოფიტვა, რომლებიც განსაზღვრავს ადაპტაციას როგორც

მოცემული, ისე სხვა ფაქტორების მიმართ. შედეგად ყალიბდება ტაციის დაავადებები ანუ დიზადაპტაცია [2, 3]. ადაპტაციური სინდრომის მნიშვნელოვან და აუცილებელ კომპონენტს სტრესი წარმოადგენს, თუმცა ხშირად ის შეიძლება განვითარდეს ადამიანთა ყოველ ასაკობრივ ჯგუფში (მითუმეტეს, თუ არსებობს გენეტიკური განწყობა [9]), როგორც ორგანიზმის რეაქტიულობის დამოუკიდებელი რეაქცია პათოგენურ აგენტთა – სტრესორთა მოქმედების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. სტრესის ფენომენი ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა, მაგრამ ამ ფენომენის მეცნიერული საფუძვლის შექმნა ეკუთვნის კანადელ მეცნიერს ჰანს სელიეს [5, 6]. მისი კლასიკური განმარტებით, ზოგადადაპტაციური სინდრომი ანუ ბიოლოგიური სტრესის სინდრომი ორგანიზმის არასპეციფიკური პასუხია მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზე [5, 6]. ეს პასუხი წარმოადგენს ორგანიზმის დაძაბვას, რომელიც მიმართულია აღმოცენებული სიძნელეების გადალახვისა და გაძლიერებული მოთხოვნილებების შეგუებისკენ [1, 5, 6, 8, 10], რასაც საბოლოოდ ამადლებული რეზისტენტობის შემდგომი დაქვეითება და პათოლოგიური პროცესების განვითარება მოსდევს [2].

ჰ. სელიეს მიერ ფორმულირებულმა სტრესის კონცეფციამ დიდი გავლენა მოახდინა მედიცინის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და სხვა სამეცნიერო დარგების განვითარებაზე. სტრესი ძირითადად მაინც საიმედო პრობლემაა, რადგან ძლიერი და ხანგრძლივი სტრესორის მოქმედება ადამიანზე (და ცხოველებზეც) ორგანიზმის ადაპტაციური მექანიზმების გამოფიტვას და პათოლოგიური პროცესების, პათოლოგიური მდგომარეობებისა და ისეთ დაავადებათა (ე.წ. „ცივილიზაციის დაავადებების“) განვითარებას იწვევს (პათოგენური სტრესი), ისეთების, როგორებიცაა გულის იშემიური დაავადება, მიოკარდიუმის ინფარქტი, ჰიპერტონია, დიაბეტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, წყლულოვანი კოლიტი, ბრონქული ასთმა, კანის დაავადებები, იმუნური და ალერგიული დარღვევები, ფსიქიკური დაავადებები, „იპონური სასწაულით“ გამოწვეული ტექნო-სტრესი, ინფორმაციული სტრესი, „სტენდალის სინდრომი“ და სხვა [1, 2, 7], მაგრამ, როგორც თვით ჰ. სელიე აღნიშნავს [5, 6], სტრესი მარტო უბედურების, ბოროტების მომტანი არ არის. მას შეუძლია გამოიწვიოს ორგანიზმის გაკაჟება და გამოწრთობის ინსტრუმენტადაც იქცეს, რადგან სტრესი გარკვეული თვალსაზრისით ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობის, ბრძოლის უნარს სტრესორის მიმართ და აძლიერებს მის დაცვით-შეგუებით მექანიზმებს გარემოს ცვლადი პირობების მიმართ (ადაპტაციური სტრესი). სტრესის ამ ორი, სრულიად განსხვავებული ფუნქციის გასამიჯნად არსებობს ცნებები „ეუსტრესის“ – დაძაბულობისა, რომელიც ორგანიზმის მობილიზებას, გააქტიურებას იწვევს უარყოფით ემოციასთან საბრძოლველად და „დისტრესის“ – გადაჭარბებული დაძაბულობისა, რომელიც ამცირებს ორგანიზმის შესაძლებლობას აქტიურად უპასუხოს გარემოს მოთხოვნებს [6]. ნებისმიერი სტრესი სტადიური რეაქციაა და მის მიმდინარეობაში გამოიყოფა სამი ფაზა [5]: 1. განგაშის რეაქცია, რომელიც ორგანიზმის დამცველობითი ძალებისა და რესურსების სწრაფი მობილიზაციით გამოიხატება; 2. წინააღმდეგობის

(რეზისტენტობის) ფაზა, რომელიც ორგანიზმს აძლევს საშუალებას წარმატებით მოერიოს სტრესით გამოწვეულ ზემოქმედებებს; 3. გამოფიტვის ფაზა, როცა სტრესორთან ორგანიზმის საკმაოდ გახანგრძლივებული და ინტენსიური ბრძოლა იწვევს მისი ადაპტაციური შესაძლებლობების დაქვეითებას.

მიუხედავად იმისა, რომ თვით ტერმინს – „სტრესს“ და სტრეს-რეაქციის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, დღეისთვის პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებში ქრონიკული პროგრესირებადი სტრესის გავრცელების ფაქტმა, ორგანიზმის საერთო წინააღმდეგობის გაზრდის პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა. ამის მიზეზი ადამიანთა პროფესიული საქმიანობის სფეროს გაფართოება, გარემოს ძლიერი დაბინძურება, ცხოვრების რითმის ამაღლება და მრავალი ახალი სტრესორის ზემოქმედებაა ცალ-ცალკე თუ ერთად კომბინაციაში. ამიტომ, დღესაც თორიული და პრაქტიკული სამეცნიერო დარგების კვლევის მიზნად კვლავ რჩება სტრესის ბიოლოგიური საფუძვლების, მისი ეტიო-პათოგენეზური ნატიფი მექანიზმების ანალიზი, სტრესის მკურნალობისა და პრევენციის ოპტიმალური გზების ძიება, ეფექტური ადაპტოგენების შექმნა.

ნაშრომის მიზანს შეადგენდა ადამიანის პოსტტრავმული სტრეს-რეაქციის მსგავსი მოდელის მეტ-ნაკლები ადეკვატურობით შექმნა საქსპერიმენტო ცხოველებში (ვირთავებში) და მათ შორის ემოციური და ლოკომოტორული კორელატების დადგენა; თავის ტვინის სხვადასხვა ფუნქციური დონიდან სტრესში მონაწილე ტვინოვან სტრუქტურებში პათომორფოლოგიური ცვლილებების დადგენა; ანტი-სტრესული მექანიზმის გამოვლენაზე დაკვირვება.




მასალა და მეთოდები

ექსპერიმენტები ტარდებოდა თეთრი ხაზის ზრდასრულ ორივე სქესის ლაბორატორიულ ვირთავებზე, წონით 300-350 გ. ცხოველებს ვათავსებდით (ცალ-ცალკე ან ორ-ორს ერთად) გამჭვირვალე კედლებიან ყუთში, ზომით 60 x 40 x 45 სმ და საქსპერიმენტო სიტუაციასთან შეჩვევის მიზნით ვკვებავდით თუნუქის საკვებურიდან, ვასმევდით წყალს. ცხოველებს ჰქონდათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება. სტრესის ექსპერიმენტული მოდელის ვარიანტებიდან (იმობილიზაციური სტრესის, „მსხვერპლ-მტაცებლის“ ფსიქო-ემოციური სტრესის, პოსტტრავმული სტრესის და სხვ.) ავირჩიეთ პოსტტრავმული სტრესის მოდელი, რისთვისაც დროის გარკვეული ინტერვალებით ყოველდღიურად ვახდენდით ელექტროტრავმის (მზარდი პარამეტრებიანი მაღალსიხშირული დენის – 1,5 მეგაჰერცი, 0,3-1 ვოტი) შეუღლებას დენგამტარი თუნუქის საკვებურიდან საკვების მიღებასთან, ან დენგამტარი მავთულის ბოლოზე დამაგრებული სუნიანი მაგარი ქონის ნაჭრის მოპოვებასთან. ცხადია, წინასწარ დამშეული ცხოველებისთვის ასეთ პირობებში საკვების მოპოვება მათთვის უარყოფითი ემოციური (შიშის) და ფიზიკური (ტკივილის, დამწვრობის) სტრესის გამომწვევეს წარმოადგენდა. ნერვულ ქსოვილში (თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილში) პათომორფოლოგიური

შესაძლო ცვლილებების დასადგენად ექსპერიმენტების ბოლოს ინტაქტური (შედარებისთვის) და სამოდელოდ გამოყენებული ვირთაგების თავის ტვინთა ფორმალინის ხსნარში დაფიქსირებისა და სათანადო დამუშავების შემდეგ მასალას ვაყალიბებდით პარაფინში. როტაციულ მიკროტომზე მომზადებულ პარაფინიან ანათლებს ვღებავდი ჰემატოქსილინითა და ეოზინით და პიკროფუქსინით (ვან-გიზონის მეთოდი) [4].




შედეგები და მათი განხილვა

ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენა, რომ წინასწარ დამშუული ვირთაგები მშვიდად იღებდნენ საკვებს (სველი პური) თუნუქის საკვებურში (სურ. 1 ა), ხოლო მაღალსიხშირული ღენის (1,5 მეგაჰერცი, 0,3 ვატი) გატარებისას საკვებურში, ცხოველის მასთან მიახლოებისას ისინი იღებდნენ მტკივნეულ გაღიზიანებას, რის გამოც უკვე შიშით, სწრაფი, ტაცებითი მოძრაობით იღებდნენ საკვებს, გადმოჰქონდათ იატაკზე და ისე იკვებებოდნენ (სურ. 1 ბ, გ, დ).



სურ. 1. ცხოველთა განსხვავებული ქცევითი რეაქცია ნორმალურ (ა) და სტრესორის მოქმედების პირობებში (ბ, გ, დ). ა – დამშუული ვირთაგვა საკვებს თუნუქის საკვებურში იღებს; ბ, გ, დ – სტრესორის მოქმედებისას (თუნუქის საკვებურში ტკივილის გამომწვევი მაღალსიხშირული ღენის გატარებისას – 1,5 მეგაჰერცი, 0,3 ვატი) ცხოველები საკვებს შიშით, სწრაფი, ტაცებითი მოძრაობით მოიპოვებენ, იატაკზე გადმოაქვთ და ისე იღებენ (ჩანს გაფართოებული გუგები, გახშირებული შარდვა)

ცხოველებს დისკომფორტის გამოხატველი საორიენტაციო მოძრაობები ჰქონდათ, მაგრამ არ წყვეტდნენ საკვების მოპოვებით მოტივირებულ ქცევას, სიფრთხილით, შიშით, მაგრამ უფრო მაღალი სიხშირით ცდილობდნენ საკვების მიღებას. ვლინდებოდა განგაშის სტადიის ემოციური და ლოკომოტორული კორელატები. თანდათან ჩამოყალიბდა სტრესორისადმი ადაპტაცია. აღწერილი ტიპის ექსპერიმენტების სერია გაგრძელდა მზარდი პარამეტრის პირობებში (1 ვატი). ცხოველებს უკვე დენგამტარი მავთულის წვერზე დამაგრებული ქონის ნაჭრის მოპოვება უხდებოდათ (სურ. 2 ა, ბ, დ). გამღიზიანებელი უფრო მტკივნეული გახდა, გაძნელდა საკვების მოპოვებაც, იმატა აგზნებულობის ხარისხმაც, მაგრამ ვირთაგვებს საკვების მოპოვება არ შეუწყვეტიათ. მრავალჯერადი ტრავმის მიღების შემდეგ მათი მოძრაობები არაკოორდინირებული გახდა, ისინი კარგავდნენ წონასწორობას, წინა კიდურებში შეინიშნებოდა მსუბუქი, ხანმოკლე ტონურ-კლონური კრუნჩხვების მსგავსი მოძრაობები, აგზნებული ცხოველები ზოგჯერ მავთულსაც კი ღრღნიდნენ (სურ. 2 გ).




სურ. 2. სტრესორის გახანგრძლივებული და მზარდი პარამეტრებით (1,5 მეგაჰერცი, 1 ვატი) გამოწვეული სტრესორეაქციის რეზისტენტობის ფაზა. ა, ბ – ცხოველების შეგუება სტრესორის მოქმედებისადმი; გ – უარყოფითი ემოციის გამოხატვა მავთულის იზოლირებულ ნაწილის დაღრღნით; დ – აგრესიული, ერთმანეთს შორის კონკურენტული დამოკიდებულება საკვების მოპოვებისთვის



ლიტერატურიდან ცნობილია [1, 2, 5, 6], რომ სტრესორთა მოქმედება ორგანიზმზე არღვევს ჰომეოსტაზის პარამეტრთა ნორმალურ დიაპაზონს, რის შედეგად ნერვულ ცენტრებში ძლიერდება აფერენტული და ეფერენტული ნერვული სიგნალები; ჰიპერფუნქციობენ სიმპათო-ადრენალური (ადრენალინი „განგაშის ჰორმონი“ კენონის მიხედვით), ჰიპოთალამო-ჰიპოფიზურ-თირკმელზედა ჯირკვლის სისტემები, ფარისებრი, კუჭკვეშა და სხვა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. შედეგად მობილიზდება ორგანიზმის კომპენსატორული, დაცვითი, აღდგენითი ადაპტაციური მექანიზმები, რითაც რამდენიმე ხნით მაღლდება მედეგობა სტრეს-ფაქტორის მიმართ.

სტრესორთა ხანგრძლივი, ყოველდღიური, მზარდი პარამეტრებით მოქმედებისას, რასაც ჩვენს ექსპერიმენტებშიც ჰქონდა ადგილი, სტრეს-რეაქციის წინააღმდეგობის ფაზაში ხდება ორგანიზმის ზოგადი რეზისტენტობის ამადლება და ყალიბდება ნორმალურ დიაპაზონში ჰომეოსტაზის პარამეტრთა მდგრადი შენარჩუნება. ვითარდება ქსოვილთა და ორგანოთა ჰიპერტროფია და ჰიპერპლაზია. სტრესის ამ ფაზაში ჩვენი ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მიუხედავად ცხოველებისთვის სტრესული სიტუაციისა, ისინი არ ეპუებოდნენ სტრესორს, საკმაოდ მაღალი სიხშირით ცდილობდნენ საკვების მოპოვებას, ვლინდებოდა ერთმანეთს შორის კონკურენტული, აგრესიული დამოკიდებულებების აშკარა ეპიზოდები (სურ. 2დ). სიტუაციის ასეთი განვითარება და შედეგები შეიძლება აიხსნას ფ. მეერსონის [3] მიერ მოწოდებული ანტი-სტრესული სისტემის არსებობით, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის ადაპტაციას ერთი შეხედვით გამოუვალი სტრესული სიტუაციის მიმართ. თავის ტვინში ანტი-სტრესული მექანიზმები რეალიზდება გამაერბოსმეჯავური, დოფამინერგული, ოპიოიდური, სეროტონინერგული ნეირონების მონაწილეობით, რომელთა გააქტივებით წარმოქმნილი ნივთიერებები სიმპათო-ადრენალინური და ჰიპოფიზ-თირკმელზედა ჯირკვლის სისტემის აქტივაციის შემაკავებენი არიან და ხელს უშლიან კატექოლამინების, გლუკო- და მინერალ-კორტიკოიდების დამაზიანებელი მოქმედების რეალიზაციას, რომელთა არსებობასაც შეუძლია ქსოვილებში დისტროფიული ცვლილებების, ეროზიის, წყლულებისა და დანეკროზებული კერების ჩამოყალიბება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ცენტრალური და პერიფერიული ანტი-სტრესული მექანიზმების გააქტივებას, გამაერბოსმეჯავური პრეპარატების, ანტიოქსიდანტების, პროსტაგლანდინების, ადენოზინის და სხვა ანტი-სტრესული ფარმაკოლოგიური პრეპარატების გამოყენებას შეუძლია დაიცვას ადამიანი სტრეს-რეაქციისგან, განსაკუთრებით თუ რეაქციის მეორე ფაზაა. სავარაუდოა, რომ სტრესორის გახანგრძლივებული მოქმედება ანტი-სტრესული მექანიზმის მოქმედების შესუსტებას იწვევს და დგება სტრეს-რეაქციის გამოფიტვის ფაზა, რაც გულისხმობს ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების დაქვეითებას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ჩვენი ექსპერიმენტების შედეგებიც მეტყველებს (სურ. 3ა, ბ, გ). სტრესორის ხანგრძლივმა მოქმედებამ გამოიწვია ის, რომ მკვეთრად დაეცა ცხოველთა ემოციური და მოტორული აქტიურობა, დამშუელმა ცხოველებმა მნიშ-

ვნელოვნად დაიკლეს წონაში (173-225 გ), მათ დაკარგეს საკვების მოპოვების ყოველგვარი მოტივაცია (სურ. 3ა), ინდიფერენტული გახდნენ საკვების მიმართ, საერთოდ აღარ ეკარებიან და ადგილიდან აღარ იძვრიან. ერთადერთი რასაც ამუღავნებდნენ, ყუთიდან გამოსვლის სურვილი იყო (სურ. 3 ბ, გ), ეტანებოდნენ საკუთარ ფეკალურ მასებს. მეხსიერების დაქვეითების სურათი ჩვენს ექსპერიმენტებში არ გამოკვეთილა.




სურ. 3. სტრეს-რეაქციის გამოფიტვის ფაზა. ა - ცხოველთა მოტორული და ემოციური აქტიურობის დაქვეითება საკვების მოპოვებისთვის; ბ, გ - სტრესული სიტუაციიდან გამოსვლის სურვილის გამოვლენა


სტრეს-რეაქციის წარმოდგენილი მოდელი თავისი დინამიკით და ფაზურობით პათოგენური სტრესის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. თუ შევადარებთ სტრეს-რეაქციის ექსპერიმენტულ მონაცემებს და სტრესით დაავადებულ ადამიანთა კლინიკურ სიმპტომატიკას, იკვეთება საკმაოდ მაღალი იდენტურობა. ისევე, როგორც ადამიანებში, ცხოველებშიც (განსაკუთრებით სტრეს-რეაქციის ბოლო ფაზაში) ეცემა მოტორული აქტიურობა, შეინიშნება მოთენთილობა, ინდიფერენტულობა, მასის კლება, მაშინ როცა განგაშისა და რეზისტენტობის ფაზებში აღმატებული აგზნებადობის, მოუსვენრობის, განგაშისა და შიშის განცდის, ერთმანეთისადმი კონკურენციის, აგრესიის მაღალი დონე და სტრესორისადმი მეტ-ნაკლები მდგრადობის გარეგნული გამოვლინებებია აღნიშნული.

როგორც მიკროსკოპულმა გამოკვლევამ ცხადყო, ცვლილებები საექსპერიმენტო ცხოველების თავის ტვინში გამოვლინდა ჰემისფეროების ქერქსა


და ნათხემში. ამასთანავე ეს ცვლილებები იდენტურია, კერძოდ, აღვივდა
 ჰქონდა კეროვან სისხლჩაქცევებს, პერივასკულარულ და პერიცელულურ
 შეშუპებას (სურ. 4).



I




ა




ბ

II




გ



დ

ყურადღება მიიქცია ქსელისებრი გარსის კარგად გამოხატულმა სისხლსავესობამ. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ნანახი პათომორფოლოგიური ცვლილებები თავის ტვინის ქერქში უპირატესად ლოკალიზებული იყო პირამიდული უჯრედების შრეში, ხოლო ნათხემში – თეთრი ნივთიერების ფირფიტაში (სურ. 5).



სურ. 5

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სტრეს-რეაქცია თავის ტვინში მნიშვნელოვან მორფოფუნქციურ ცვლილებებს იწვევს. ლიტერატურიდან ცნობილია ასეთივე ტიპის ცვლილებები სხვა ორგანოებშიც [1, 2, 7, 9]. ცხადია, სტრესით შეპყრობილ ადამიანებში მიმდინარე პათოლოგიური ძვლების მექანიზმების შესწავლისთვის ცხოველებში აღნიშნული ტიპის მოდელების შექმნას გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ლიტერატურა

1. *იფიანი ვ.* ზოგადი პათოფიზიოლოგია. სახელმძღვანელო, I ნაწილი, თბილისი, შპს “კაბადონი”, 2004, 54-57.
2. *Литвицкий П.Ф.* Патолофизиология, т. 1, Москва, “Геотар-Мед”, 2002, 658-672.
3. *Меерсон Ф.З.* Адаптация, стресс и профилактика. Москва, “Наука”, 1981, 278.
4. *Меркулов Г.А.* Курс патогистологической техники, 5-е изд., Ленинград, “Медицина”, 1969, 377.

5. *Селье Г.* Очерки об адапционном синдроме. Москва, “Медгиз”, 1960, 254 с.
6. *Селье Г.* Стресс без дистресса. Москва, “Прогресс”, 1979, 123 с.
7. *Тигранян Р.А.* Стресс и его значение для организма. Москва, “Наука”, 1988, 175 с.
8. www.medportal.ru
9. <http://www.kidshea/th.org/teen/yourmind/emotions/stress.com>
10. *Fillmore R.* Psychological stress produces PTSD-like symptoms in rats. <http://usfnews.usf.edu/printerview.sfmmlink=nticle&aid=1466>

СТРЕСС-РЕАКЦИЯ И ЕЁ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МОДЕЛЬ

Т. Багашвили, Т. Джорбенадзе, Н. Цинцадзе, Н. Омиадзе

Научно-исследовательский Центр экспериментальной неврологии, Тбилиси; Тбилисский Государственный университет им. И. Джавахишвили, Департамент патологии медицинского факультета

РЕЗЮМЕ

Целью работы являлось создание модели патогенного стресса у лабораторных белых крыс. Для этой цели применяли сочетание болевого раздражения, вызванного высокочастотным током (1,5 МГц, 0,3-1 Ватт), с поиском пищи. По окончании экспериментов изучали возможные патоморфологические изменения в тканях головного мозга.

В результате проведенных экспериментов было установлено, что имеется симптоматическое сходство между экспериментальной моделью и посттравматическим стрессом у людей, особенно, если это модель патогенной стресс-реакции. Длительное действие стрессора ослабляет действие антистрессорной системы организма до ее полного угнетения, что является необходимой предпосылкой развития стадии истощения стресса; стрессовая ситуация создает между индивидами конкурентное, агрессивное отношение; в полушариях головного мозга (особенно в пирамидном слое) и мозжечке (в белом веществе пластинки) образуются очаговые кровоизлияния, периваскулярные и перичеллюлярные отеки, а также наблюдается хорошо выраженное полнокровие в сетевидной оболочке головного мозга.

STRESS-REACTION AND ITS EXPERIMENTAL MODEL

T. Bagashvili, T. Jorbenadze, N. Tsintsadze, N. Omiadze

Scientific Research Centre for Experimental Neurology, Tbilisi; Tbilisi I. Javakhishvili State University, Department of Pathology, Medical Faculty

SUMMARY

The aim of the presented study was to create the more or less adequate model of human Post-Traumatic Stress Disorders in the starving white line laboratory rats. For this purpose a high-frequency painful stimulation (1,5 MHz, 0,3-1 Watt) has been used in combination with seizing the

food. At the end of experiments the possible patho-morphological changes in the brain tissue were also studied.

The conclusions according to the results of our experiment are: there is a great symptomatic similarity between the human Post-Traumatic Stress Disorders and the animal model, especially when it is a model of pathogenic Stress reaction; influencing the organism by prolonged and progressing stressor parameter weakens the organism's anti-stress system activities till its full depression, which is precondition for development of the stress exhaustion stage; the stress situation forms competitive and aggressive relations between the individuals; the focal hemorrhages, perivascular and pericellular oedemas are formed in the hemispheric cortex (especially in its pyramidal layer) and in the cerebellum (especially in the white substance of plates); also well expressed hyperemia in the pia-matter was observed.

С
С
С
С

63034000706
30600000000

КОМБИНИРОВАННОЕ ЛЕЧЕНИЕ РАКА НИЖНЕЙ ГУБЫ

К.В. Гуджабидзе, К.М. Мардалеишвили, Т.В. Окропиридзе, Г.Г. Парулава

Онкологический Национальный Центр Грузии им. проф. А. Гвамичава

Принята 24.03.008

Комбинированная операция охватывала резекцию нижней губы с фасциально-футлярным удалением шейных лимфатических узлов. Совместно с обширным удалением опухоли нижней губы осуществляли резекцию и соседнего органа.

Комбинированная операция была выполнена в 47 случаях, комбинированно-расширенная – в 24 случаях. В 17 случаях операция на шейных лимфатических железах носила профилактический характер, а в 34-х – лечебный. После операции целостность нижней губы была восстановлена с использованием кожно-мышечно-слизистых лоскутов щеки на питательных ножках. Из них в 29 случаях – одно-сторонними ротационными лоскутами. Ротационный лоскут, взятый с верхней губы, был использован в 10 случаях, а у 8 больных для восстановления щеки и нижней губы была использована комбинированная пластика, при которой были совместно использованы торако-дорзальный и кожно-мышечный лоскуты и независимый трансплантат кожи.

Ключевые слова: рак нижней губы, хирургия, пластико-реконструктивный подход

На отдельных этапах лечения рака нижней губы становится необходимым проведение хирургического вмешательства, которое часто выражается в обширном удалении опухоли. При проведении оперативного вмешательства подчас использовался ротационный лоскут, или свободный кожно-мышечный, или слизисто-мышечный. Целью исследования явился анализ местных и общих осложнений после оперативного лечения, включающего пластико-реконструктивный подход у пациентов, страдающих плоско-клеточным раком нижней губы.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Для решения данного вопроса в качестве материала исследования использованы и проанализированы истории болезни пациентов, которые лечились в Онкологическом национальном центре Грузии им. проф. А.Гвамичава. Всего обследованы 71 пациент с диагнозом рака нижней губы, среди них 7 женщин и 64 мужчин. У 60 пациентов с диагнозом рака нижней губы отмечалась опухоль III стадии, а у 11 –

IV стадии. Общее повреждение нижней губы было установлено у 48 пациентов, а частичное – у 23. Распространение опухоли на соседние органы было диагностировано практически во всех случаях, из них слизистая щеки была повреждена в 43 случаях, кожа нижней губы – в 28 случаях, комбинированное повреждение мягких и костных тканей было выявлено в 25 случаях. Распространение болезни на двух и более анатомических областях было отмечено в 48 случаях. Эндофитный рост опухоли нижней губы был диагностирован в 49 случаях, в 20 случаях имел место смешанный тип роста опухоли, а в 2 случаях имел место – экзофитный рост опухоли.

Путем подробного цитологического, а также клинического исследования были выявлены региональные метастазы в 36 случаях, из них множественные – в 20 случаях, а единичные односторонние метастазы – в 16 случаях. Размеры метастазов в 64 случаях колебались в пределах от 1 до 3 см, в 7 случаях они превышали 3 см.

Следует отметить, что у 37 больных на первом этапе лечения был проведен курс лучевой терапии, на втором этапе лучевую терапию получали 40 пациентов в дозе 60 Грей. В зону облучения, кроме нижней губы, включались расположенные вокруг ткани и области под челюстью. В случае наличия метастазов зона облучения увеличивалась до нижней трети шеи. После лечения облучением на втором этапе были осуществлены комбинированные и комбинированно-расширенные операции. Комбинированная операция включала в себя резекцию нижней губы с иссечением лимфатических узлов. При комбинированно-расширенной операции, наряду с удалением опухоли нижней губы, осуществлялась резекция соседнего органа. Комбинированная операция была выполнена в 52 случаях, а комбинированно-расширенная – в 19. Необходимо отметить, что в 32 случаях операция на лимфатических узлах шеи носила профилактический, а в 49 случаях – лечебный характер. После проведения операции целостность губы была восстановлена в 41 случае с использованием кожно-мышечно-слизистых лоскутов шеи. Односторонне – ротационный лоскут был использован в 12 случаях, а встречные лоскуты – в 22 случаях. Ротационный лоскут, взятый из верхней губы, был использован в 19 случаях. Для восстановления нижней губы и щеки часто была использована комбинированная пластика, при которой были совместно использованы торакодорзальный и кожно-мышечный лоскуты и независимый трансплантат кожи.

После проведения хирургических операций общих осложнений не отмечалось, что касается местных осложнений, то они были зафиксированы лишь в 12 случаях, что составило 22,3%. Анализ всех местных осложнений был произведен с учетом нижеприведенных показателей, в частности дозы лучевой терапии до хирургического лечения нижней губы. Анализ местных осложнений показал, что у больных, которым на первичной опухоли и лимфатических железах шеи до операции была проведена лучевая терапия с суммарной дозой 40 Грей, некроз лоскута и вторичное сращение были отмечены лишь в 2 случаях, а у больных, которым была проведена лучевая терапия с суммарной дозой в количестве 60 Грей, местные осложнения отмечались в 10 случаях.

Местные осложнения чаще были представлены в виде нагноения раны и вторичным заживлением, а некроз кожно-мышечно-слизистых лоскутов, использованных для восстановления губы, был выявлен лишь в 5 случаях. В 2 случаях

პროთეზირება ჩატარდა 65-70 წლის 56 პაციენტს, მათ შორის 10-ს (I ჯგუფი) პროთეზის ბაზისი დაუმზადდა აკრილის პლასტმასით, ხოლო 46-ს – პოლიპროპილენით. ამ უკანასკნელთა შორის 16 პაციენტისთვის ეს იყო მეორადი პროთეზირება (II ჯგუფი), ხოლო 30-თვის – პირველადი (III ჯგუფი).

ჩვენი კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მე-2 და მე-3 ჯგუფების პაციენტებში (პოლიპროპილენის ბაზისი) საშუალოდ 0,4 ვიზიტით შემცირდა ადაპტაციის ვადები. ეს აიხსნება პროთეზების შედარებით მცირე მოცულობით, უკეთესი ფიქსაციით და თბოგამტარობით, რამაც პროთეზებისადმი სწრაფ ადაპტაციას შეუწყო ხელი.

COMPARATIVE ANALYSIS OF ADAPTATION TO FULL REMOVABLE LAMINAR DENTURE MADE OF ACRYLIC RESIN AND THERMOPLASTICS OF MEDICAL PURITY

M. Jervalidze, M. Kalandadze, V. Margvelashvili

I. Javakhishvili Tbilisi State University; P. Shotadze Tbilisi Medical Academy

SUMMARY

Adaptation to full prosthesis appears to be one of the important problems of modern stomatology. The aim of our work was to compare terms of adaptation to prosthesis made of two different materials.

Prosthetics was carried on in 56 patients at the age of 65-70. Among them for 10 patients the basis of prosthesis was made of acrylic resin, and for 46 ones – of polypropylene. Out of the latter for 16 patients it was the secondary prosthetics and for 30 ones – the primary.

The results of our research have shown that the terms of adaptation were reduced approximately by 0,4 visits in the second and the third groups of patients (polypropylene basis). It can be explained by smaller prosthesis, better fixation and thermal conductivity which provide rapid adaptation to the prosthesis.

ექოკარდიოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკა პრედუქტალითა და პრესტარიუმით კომბინირებული მკურნალობისას ექოკარდიუმის მფვაზე ინფარქტის შემდგომ პერიოდში

ნ. ჯინჯოლია, ი. მეგრელაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 2.04.2008

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ექოკარდიოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა პრედუქტალითა და პრესტარიუმით კომბინირებული მკურნალობის ფონზე პოსტინფარქტულ პერიოდში.

გამოკვლულ იქნა 152 ავადმყოფი (94 მამაკაცი და 68 ქალი) 45-დან 68 წლამდე, მიოკარდიუმის წინა კედლის Q-კბილოვანი მწვავე ინფარქტის (მმ) დიაგნოზით. I (ექსპერიმენტულ) ჯგუფში შევიდა 92 ავადმყოფი, რომლებიც ბაზისურ თერაპიასთან ერთად იღებდნენ პრედუქტალს. II (საკონტროლო) ჯგუფი შეადგინა 60 ავადმყოფმა, რომლებიც მხოლოდ ბაზისურ თერაპიას იღებდნენ. განდევნის ფრაქციის (ბვ) მიხედვით, გამოყავით I ქვეჯგუფი – ბვ > 45%, II ქვეჯგუფი – ბვ < 45%. ექოკარდიოგრაფიულად დაკვირვება ხდებოდა ინფარქტიდან 1, 3, 6 და 12 თვის შემდეგ. ისაზღვრებოდა მარცხენა პარკუჭის (მპ) საბოლოო დიასტოლური მოცულობა (მპსმ), მარცხენა პარკუჭის საბოლოო სისტოლური მოცულობა (მპსსმ), ბვ, დარტყმითი მოცულობა (დმ), წინა-უკანა ზომის დამოკლების ხარისხი სისტოლაში (FS), ტრანსმიტრალური ნაკადის მაქსიმალური სიჩქარე მპ-ის ადრეული ავსების პერიოდში (Ve), გვიანი ავსების პერიოდში ნაკადის მაქსიმალური სიჩქარე (Va), Ve/Va. 3 თვის შემდეგ სარწმუნო დინამიკა არ აღინიშნა. 6 და 12 თვის შემდეგ აღინიშნა მპსმ და მპსსმ სარწმუნო შემცირება და ბვ, დმ და FS – სარწმუნო ზრდა. 12 თვის შემდეგ II ქვეჯგუფში ბვ გაიზარდა 30,1%-ით ($p < 0,05$), რაც 1,5-ჯერ მეტია საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებზე. ასევე სარწმუნოდ გაიზარდა დმ და FS, 13,6% და 32,7%, შესაბამისად. პრედუქტალის ჯგუფში აღინიშნა Ve, Ve/Va შემცირება, Va უფრო მეტად და სარწმუნოდ გაიზარდა. პრედუქტალით ხანგრძლივი თერაპია განაპირობებს მარცხენა პარკუჭის სისტოლური და დიასტოლური ფუნქციების უფრო ეფექტურ გაუმჯობესებას საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, განსაკუთრებით დაბალი განდევნის ფრაქციის მქონე პაციენტებში.

საკვანძო სიტყვები: გულის უკმარისობა, პრედუქტალი, რემოდელირება, პიბერნაცია



გულის ქრონიკული უკმარისობის ძირითადი მიზეზი დღესდღეობით არის მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი. კვლევის თანამედროვე მეთოდებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა წარმოდგენა გიდ-ით გამოწვეული გქუის პათოგენეზზე [1, 4].

მიოკარდიუმის ნაწილის დაზიანებისა და სიკვდილის შემდეგ როგორც ნორმალური, ასევე დაზიანებულ მიოკარდიუმში მიმდინარეობს ბიოლოგიური პროცესები, რომლებიც მკვდარი მიოციტების სკლეროზს და ფიბროზს, დარჩენილი ცოცხალი უჯრედების ჰიპერტროფიას იწვევს, რის შედეგად ირღვევა მიოციტების ურთიერთგანლაგება, იცვლება მარცხენა პარკუჭის ღრუს გეომეტრია და ზომები. ადრეულ და გვიან რემოდელირებას მოსდევს მარცხენა პარკუჭის ფუნქციის გაუარესება. ლიტერატურის მონაცემების თანახმად, როგორც სისტოლური, ისე დიასტოლური დისფუნქცია წარმოადგენს გულის უკმარისობის განვითარების მნიშვნელოვან პათოგენეზურ რგოლს. მწვავე კორონარული უკმარისობის შედეგად გულის კუნთში ყალიბდება სტრუქტურულად და ფუნქციურად ჰეტეროგენული კერა, რომლის შესწავლის საფუძველზე გაჩნდა იშემიური სინდრომების ისეთი ახალი ცნებები, როგორცაა მიოკარდიუმის “ჰიბერნაცია”, “სტანინგი”, “მეტაბოლური ადაპტაცია”. მიოკარდიუმის კუმშვადობის ფუნქციის აღდგენა პოსტინფარქტულ პერიოდში წარმოადგენს რთულ პროცესს და, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ჰიბერნაციისა და სტანინგის ზომების გაუმჯობესებასთან როგორც ქირურგიული რევასკულარიზაციის, ისე მასში მეტაბოლურ პროცესებზე ზეგავლენის გზით [3]. მიოკარდიუმის იშემიით გამოწვეული მეტაბოლიზმის დარღვევები ნაწილობრივ შეიძლება ლიკვიდირებულ იქნას მეტაბოლური პრეპარატებით, კერძოდ ტრიმეტაზიდინით (ფირმა “სერვიე”) 3 კეტო-აცილ-კოატილზის სელექტიური ინჰიბიტორით), რომელიც ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვის ინჰიბირების გზით ამცირებს პირუვატის დაჟანგვის პროცესის დათრგუნვას. ეს უკანასკნელი კი მიტოქონდრიებში იწვევს პირუვატის დაჟანგვის სტიმულაციას [8]. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ექოკარდიოგრაფიული მანევრებლების დინამიკის შესწავლა პრედუქტალითა და პრესტარიუმით კომბინირებული მკურნალობის ფონზე პოსტინფარქტულ პერიოდში.

მასალა და მეთოდები

გამოკვლევულ იქნა 152 ავადმყოფი (94 მამაკაცი და 57 ქალი) 45-დან 68 წლამდე ასაკის მიოკარდიუმის მწვავე წინა კედლის Q-კბილოვანი ინფარქტის დიაგნოზით, დაავადების დაწყებიდან 12 თვის განმავლობაში. I (ექსპერიმენტულ) ჯგუფში შევიდა 92 ავადმყოფი, რომლებიც ბაზისურ თერაპიასთან ერთად იღებდნენ ტრიმეტაზიდინს დოზით 60 მგ დღეში. II (საკონტროლო) ჯგუფი შეადგინა 60 ავადმყოფმა, რომლებიც იღებდნენ ბაზისურ თერაპიას (პრესტარიუმს, შარდმდენებს, ნიტრატებს, β-ბლოკატორებს, ასპირინს, ანტიკოაგულანტებს და ა.შ.). I ჯგუფიდან გამოვარიცხეთ პაციენტები შაქრიანი დიაბეტით, არაკონტროლირებადი არტერიული ჰიპერტენზიით, განმეორებითი ინფარქტით, რიტმის მნიშვნელოვანი

მოშლით). პრესტარიუმის საწყისი დოზა იყო 4 მგ, რომელსაც 8 მგ-მდე ვზრდიდით.

განდევნის ფრაქციის მიხედვით გამოყავით ორი ქვეჯგუფი: I ქვეჯგუფი – 66 ავადმყოფი, განდევნის ფრაქციის მცირე დაქვეითებით, $BV > 45\%$. ამ ქვეჯგუფში საკვლევი ჯგუფიდან შევიდა 42 ავადმყოფი, საკონტროლო ჯგუფიდან – 24. II ქვეჯგუფში შევიდა 86 ავადმყოფი განდევნის ფრაქციის ზომიერი და მკვეთრი დაქვეითებით, $BV < 45\%$. საკვლევი ჯგუფში შევიდა 50, საკონტროლოში – 35 ავადმყოფი. მარცხენა პარკუჭის სტრუქტურულ-ფუნქციური მდგომარეობა შეფასებულ იქნა ექოკარდიოგრაფიის მეთოდით, “Ultramark-9” (გერმანია) სტანდარტული მეთოდიკით. ექოკარდიოგრაფიული კვლევა ხდებოდა ინფარქტის განვითარებიდან პირველ დღეებში პრესტარიუმის დანიშვნამდე და 1, 3, 6, 12 თვის შემდეგ. ისახდებოდა მარცხენა პარკუჭის საბოლოო სისტოლური და დიასტოლური ზომები და მოცულობები (მპსსმ და მპსდმ), მპ-ის განდევნის ფრაქცია, დარტყმითი მოცულობა (დმ), წინა-უკანა ზომის დამოკლების ხარისხი სისტოლაში (FS%), მპ-ის მასა. მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქციის შესასწავლად დოპლერექოკარდიოგრაფიის მეთოდით განსაზღვრულ იქნა ტრანსმიტრალური ნაკადის მაქსიმალური სინქარე მპ-ის ადრეული ავსების პერიოდში (Ve), გვიანი ავსების პერიოდში ნაკადის მაქსიმალური სინქარე Va, Ve/Va თანაფარდობა, იზოვოლუმური მოდუნების დრო (IVRT), ადრეული ავსების შენელების დრო (DT), წინაგულოვან რეტროგრადულ და ტრანსმიტრალურ დროთა თანაფარდობა. ორივე ჯგუფის ავადმყოფები დაყავით დიასტოლური დისფუნქციების ტიპების მიხედვით, კერძოდ, რელაქსაციის დარღვევის ტიპი, ფსევდონორმალისაციის და რესტრიქციული ტიპები. კვლევას გამოეთიშა 19 ავადმყოფი. კვლევა დაამთავრა 133 ავადმყოფმა (52 – საკონტროლო ჯგუფიდან, 81 – საკვლევი ჯგუფიდან). კვლევიდან გამოთიშვის მიზეზი იყო სიკვდილი, განმეორებითი ინფარქტი, მოციმციმე არითმია. მიღებული შედეგების სტატისტიკურ სარწმუნობას ვამოწმებდით სტიუდენტის t-ტესტით.

შედეგები და კამო განხილვა

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთი თვის შემდეგ ექოკარდიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ჯგუფებში სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს ადგილი არ ჰქონდა. სამი თვის შემდეგ პრედუქტალის ჯგუფში აღინიშნა მპსსმ-ის სარწმუნო შემცირება 5,1%-ით ($p < 0,05$). დაბალი განდევნის ფრაქციის მქონე ავადმყოფებში (II ქვეჯგუფი), სადაც $EF < 45\%$, პრედუქტალის ჯგუფში მპსსმ შემცირდა 6,2%-ით ($p < 0,05$). ამავე ჯგუფში გაიზარდა გვ, FS და დმ 11,5%, 9,8% და 1,7%-ით ($p < 0,05$), შესაბამისად. ავადმყოფებში, რომელთა $EF > 45\%$ (I ქვეჯგუფი), ასევე ადგილი ჰქონდა ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების ზრდას 10,9%, 2,4% და 1,4%-ით, შესაბამისად ($p < 0,05$). საკონტროლო და საკვლევი ჯგუფებს შორის ამ მაჩვენებლების მხრივ აღინიშნა სარწმუნო სხვაობა. 6 თვის

დაკვირვების შემდგომ პერიოდში ორივე ჯგუფში გამოვლინდა სღმ და სსმ სარწმუნო შემცირება, უპირატესად, კი პრედუქტალის ჯგუფში. საკვლევე ჯგუფში სარწმუნოდ გაიზარდა ბზ, FS და ღმ 19%, 28,5% და 9,8-ით ($p < 0,05$) მსუბუქად დაქვეითებული განდევნის ფრაქციის ქვეჯგუფში (ცხრილი 1). ასევე მნიშვნელოვანია მაჩვენებლების ზრდა საკონტროლო ჯგუფში. დაბალი განდევნის ფრაქციის ქვეჯგუფში პრედუქტალის ჯგუფში ბზ, FS და ღმ გაიზარდა 21%, 31% და 11,7%-ით, შესაბამისად ($p < 0,05$). საკონტროლო ჯგუფში კი გაიზარდა 11,6%, 14,8% და 9,6%-ით, შესაბამისად. 6 თვის შემდეგ ბზ, FS და ღმ-ს ზრდა უფრო მეტად იყო გამოხატული II ქვეჯგუფში, სადაც $EF < 45\%$.

ცხრილი 1

ექოკარდიოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკა I ქვეჯგუფში (ბზ > 45%)

მაჩვენებელი	I ჯგუფი			II ჯგუფი		
	საწყისი	6 თვე $\Delta\%$	12 თვე $\Delta\%$	საწყისი	6 თვე $\Delta\%$	12 თვე $\Delta\%$
მსღმ, მლ	135,0 ± 5,4	4,1*	-8,0**	139,9 ± 6,5	-3,5*	-5,1*
მსსმ, მლ	64,9 ± 3,5	-12,2*	-17,9**	70,4 ± 4,2	-8,6*	-12,0*
ბზ	47,1 ± 1,1	19,0*	24,0**	47,0 ± 1,2	10,2*	13,2**
ღმ, მლ	70,3 ± 2,1	9,8*	10,1*	69,8 ± 2,6	8,4*	8,4*
FS, %	25,1 ± 1,0	28,5*	18,0**	25,1 ± 1,1	12,6*	11,3*
Ve, სმ/წმ	116,6 ± 3,5	-12,2*	-14,0*	116,9 ± 3,3	-10,5*	-12,4*
Va, სმ/წმ	55,8 ± 3,3	12,3*	13,8*	56,5 ± 3,6	10,8*	12,1*
Ve/Va	2,05 ± 0,02	-19,8*	-26,6*	2,01 ± 0,01	-19,4*	-24,2*

შენიშვნა:

სარწმუნო სხვაობა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით: * - $p < 0,05$; ** - $p < 0,001$;
სარწმუნო განსხვავება ჯგუფებს შორის - $p < 0,05$

12 თვის შემდეგ - საწყის მაჩვენებლებთან შედარებით პრედუქტალის ჯგუფში აღინიშნა ბზ-ს ზრდა 30,1%-ით ($p < 0,01$), რაც 1,5-ჯერ მეტია საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებზე (გვ ამ ჯგუფში გაიზარდა 19,2%-ით, $p < 0,01$). I ქვეჯგუფში გვ გაიზარდა 24%-ით, ხოლო საკონტროლო ჯგუფში - 13%-ით. ამ მაჩვენებლების მიხედვით, ჯგუფებს შორის სხვაობა სარწმუნო იყო (ცხრილი 2).

მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქციის მონაცემების მიხედვით, 6 თვის შემდეგ ნორმალური დიასტოლური ფუნქციის მქონე პაციენტებში აღინიშნა Ve და Ve/Va-ს სარწმუნო ზრდა. 12 თვის შემდეგ ამ მაჩვენებლების ზრდა ასეთი კატეგორიის ავადმყოფებში მეტად გამოიხატა - Ve/Va - 16,6%-ით, Ve - 11,6%-ით ($p < 0,05$). საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, მპ-ის დიასტოლური დისფუნქციის რელაქსაციის დარღვევის

ტიპის მქონე ავადმყოფებს პრედუქტალის ჯგუფში 6 თვის შემდეგ აღინიშნათ Ve , Ve/Va -ს ზრდა.

ცხრილი 2

ექოკარდიოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკა II ქვეჯგუფში (ბზ > 45%)

მაჩვენებელი	I ჯგუფი			II ჯგუფი		
	საწყისი	6 თვე $\Delta\%$	12 თვე $\Delta\%$	საწყისი	6 თვე $\Delta\%$	12 თვე $\Delta\%$
მპსმ, მლ	207,1 ± 17,5	-5,3*	-14,2**	172,2 ± 5,5	-2,2*	-12,2*
მპსმ, მლ	133,1 ± 12,9	-13,1*	-26,1**	109,3 ± 4,0	-5,7*	-20,5*
ბზ	35,3 ± 1,0	21,0*	30,1**	34,4 ± 0,6	11,6*	19,2**
ღმ, მლ	71,5 ± 2,1	11,7*	13,6*	63,6 ± 2,2	9,6*	10,6*
FS, %	17,9 ± 1,0	31,0*	32,7**	20,2 ± 0,7	14,8*	19,5*
Ve , სმ/წმ	117,3 ± 4,5	-12,9*	-18,0*	117,5 ± 4,7	-13,7*	-15,6*
Va , სმ/წმ	58,7 ± 3,2	14,1*	16,4*	58,8 ± 3,7	12,5*	12,1*
Ve/Va	2,03 ± 0,03	-22,6*	-29,5*	2,04 ± 0,04	-22,1*	-26,3*

შენიშვნა იგივე, რაც ცხრილში 1

12 თვის შემდეგ მაჩვენებლები იზრდებოდა 45% და 22,5%-ით, შესაბამისად. Va შემცირდა 10%-ით. მპ-ის ფსევდონორმალური დიასტოლური დისფუნქციის ტიპში Ve/Va სარწმუნოდ მცირდებოდა, რაც გამოიხატებოდა დისფუნქციის ფსევდონორმალური ტიპის რელაქსაციის ტიპში გადასვლით. რესტრიქციული დიასტოლური დისფუნქციის მქონე ავადმყოფებში ორივე ჯგუფში აღინიშნებოდა დიასტოლური ფუნქციის გაუმჯობესება. Va -ს გაზრდა უფრო მეტად იყო გამოხატული პრედუქტალის ჯგუფში. დიასტოლური ფუნქციის გაუმჯობესება უფრო მეტად გამოვლინდა დაბალი განდევნის ფრაქციის მქონე ავადმყოფებში. პრედუქტალით კომბინირებული 12-თვიანი თერაპიის შემდეგ აღინიშნებოდა მპ-ის სისტოლური და დიასტოლური მაჩვენებლების გაუმჯობესება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. მპ-ის სისტოლურ ფუნქციაზე ზემოქმედების მხრივ გამოვლინდა პრედუქტალის უპირატესი ეფექტურობა იმ ავადმყოფებში, რომელთაც მეტად ჰქონდათ გამოხატული მპ-სისტოლური დისფუნქცია. ასევე აღინიშნა დიასტოლური დისფუნქციის შემცირება, უპირატესად, პრედუქტალის ჯგუფში.

ლიტერატურა

1. Беленков Ю.А., Мареев В.Ю. Принципы рационального лечения сердечной недостаточности. М., Медиа Медика, 2000, 266.
2. Васюк Ю.А., Хаджеганова А.Б., Ющук Е.Н. Сердечная недостаточность, 2001, 4, 180-186.
3. Мартынов А.И., Васюк Ю.А., Ющук Е.Н. Клиническая фармакология и терапия, 2001, 4, 37-39.

4. *Флоря В.Г., Мареев В.Ю., Самко А.Н.* Кардиология, 2002, 2, 10-15.
5. *Терещенко С.Н., Акимов О.С., Демидова И.В.* Кардиология, 2004, 9, 48-52.
6. *Терещенко С.Н., Демидова И.В., Кобалава Ж.Д.* Тер. Архив, 1999, 1, 42-46.
7. *Belardmelli R., Purcaro A.* Eur. Heart J., 2001, 22, 2164-2171.
8. *Brottier I., Barat J.* Eur. Heart J., 2007-2012.
9. *Chierchia S.L.* Eur. Heart J., 2001, 3 (Suppl.), 016-021.

ДИНАМИКА ЭХОКАРДИОГРАФИЧЕСКИХ ПОКАЗАТЕЛЕЙ ПРИ КОМБИНИРОВАННОЙ ТЕРАПИИ С ПРЕДУКТАЛОМ И ПРЕСТАРИУМОМ В ПОСТИНФАРКТНОМ ПЕРИОДЕ

Н. Джинджолия, И. Мегреладзе

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Целью исследования являлось изучение влияния комбинированной терапии с предукталом и престариумом на левый желудочек после инфаркта миокарда. Было исследовано 152 больных с острым инфарктом передней стенки ЛЖ (левого желудочка) с зубцом Q с хронической сердечной недостаточностью (II-III по NYHA). В I группу вошли больные, которые на фоне стандартной терапии принимали предуктал по 20 мг, 3 раза в день. Во II (контрольную) группу вошли 60 больных, получавшие стандартную терапию (престариум, β -блокаторы, мочегонные). Больных разделили на две подгруппы ($EF > 45\%$ и $EF < 45\%$). Эхокардиографическое исследование проводили через 1, 3, 6 и 12 мес. от начала ИМ. Оценивали следующие параметры: ЛЖ, КДО, КСО, ФВ, УО, FS, также исследовали диастолическую функцию ЛЖ. Через 6 и 12 мес. отмечалось достоверное уменьшение КДО и КСО, повышение ФВ, УО, FS – достоверно, особенно выраженное в группе предуктала. В I группе имело место достоверное увеличение ФВ на 30% ($p < 0, 05$), которое было в 1,5 раз больше, чем в контрольной группе, также наблюдался прирост УО, FS, соответственно на 13,6% и 32,7% ($p < 0, 05$). Отмечалось также достоверное уменьшение Ve , Ve/Va и повышение Va , особенно в I группе. Применение предуктала в течение 12 мес. оказывает положительное влияние на систолическую и диастолическую функцию ЛЖ, которое более выражено у больных с низким выбросом.

DYNAMICS OF ECHOCARDIOIGRAPHIC CHANGES AGAINST THE BACKGROUND OF COMPLEX THERAPY WITH PREDUCTAL AND PRESTARMIUM AFTER MYOCARDIAL INFARCTION

N. Jinjolia, I. Megreladze

Tbilisi State Medical University

SUMMARY

The aim of the study was to estimate the efficiency of complex therapy with preductal and prestarium after myocardial infarction (MI). 152 patients with acute MI of anterior wall (Q wave) and heart failure (II-III class by NYHA) were investigated. The I group included 92 patients, who were treated by preductal (60 mg daily) on the background of the standard therapy. II group (60 patients) was treated by standard therapy (ACE inhibitor, diuretic, β -blockers). The patients were divided into 2 subgroups with $EF > 45\%$ and $EF < 45\%$. Echo investigation was carried out after 1, 3, 6 и 12 months from the beginning of MI. LV, EDV and ESV, EF, FS, SV and diastolic function have been estimated. The reliable decrease of EDV and ESV and increase of EF, FS, SV were observed in the both groups after 6 и 12 months, especially pronounced in the I group. The patients with $EF < 45\%$ and treated with preductal have improved EF up to 30,1% ($p < 0,05$), which was 1,5 times greater than in the control group. FS and SV were also increased by 32,7%, 13,6% ($p < 0,05$). Reliable decrease of V_e , V_e/V_a especially in the I group was noted. The treatment with preductal during 12 months shows its positive influence on the LV systolic and diastolic function of LV, which is the most significant in the patients with low EF.

პრელუქტალისა და პრესტარიუმის კომბინირებული თერაპიის ზეგავლენა მარცხენა პარკუჭის რემოდელირებასა და ფუნქციურ მდგომარეობაზე პოსტინფარქტულ პერიოდში

ნ. ჯინჯოლია, ი. მეგრელიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 14.04.2008

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პრელუქტალისა და პრესტარიუმის კომბინირებული მეურნალობის ეფექტურობის შესწავლა მარცხენა პარკუჭის რემოდელირებაზე პოსტინფარქტულ პერიოდში. გამოკვლეულ იქნა 152 ავადმყოფი – 94 მამაკაცი და 68 ქალი 45-დან 68 წლამდე მიოკარდიუმის წინა კედლის Q-კბილოვანი მწვავე ინფარქტის (მმი) დიაგნოზით. I საკვლევე ჯგუფში შევიდა 92 ავადმყოფი, რომლებიც ბაზისურ თერაპიასთან ერთად იღებდნენ პრელუქტალს. II – საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 60 ავადმყოფმა რომლებიც იღებდნენ ბაზისურ თერაპიას. განდევნის ფრაქციის (ბზ) მიხედვით გამოყავით I ქვეჯგუფი ბზ > 45%, II ქვეჯგუფი – ბზ < 45%, ექოკარდიოგრაფიულად დაკვირვება ხდებოდა ინფარქტიდან რამდენიმე დღეში და 1, 3, 6, 12 თვის შემდეგ. ისაზღვრებოდა მარცხენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლური მოცულობა (მპსდმ), მარცხენა პარკუჭის საბოლოო სისტოლური მოცულობა (მპსსმ), ბზ, დარტყმითი მოცულობა (დმ), შემოკლების ფრაქცია (შზ), მპ-ის მასა, მასის ინდექსი, მპ-ის შედარებითი სისქე. 6 და 12 თვის შემდეგ აღინიშნა მპსდმ-ის და მპსსმ-ის სარწმუნოდ შემცირება, მპ-ის მასის შემცირება ორივე ჯგუფში; ბზ-ის, დმ-ის, შზ-ის სარწმუნოდ ზრდა. 12 თვის შემდეგ პრელუქტალის ჯგუფის II ქვეჯგუფში ბზ გაიზარდა 30,1%-ით, $p < 0,05$, რაც 1,5-ჯერ მეტია საკონტროლო ჯგუფის მჩვენებელთან შედარებით. ასევე სარწმუნოდ გაიზარდა დმ და შზ, შესაბამისად 13,6%-ით 32,7%-ით $p < 0,05$. შემცირდა მპ-ის მასა, რაც უფრო გამოხატული იყო პრელუქტალის ჯგუფში. პრელუქტალით ხანგრძლივი თერაპია განაპირობებს მპ-ის სისტოლური ფუნქციების უფრო ეფექტურ გაუმჯობესებას საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, განსაკუთრებით დაბალი განდევნის მქონე პაციენტებში. ამრიგად, შეიძლება აღვნიშნოთ პრელუქტალისა და პრესტარიუმის კომბინირებული თერაპიის უფრო გამოხატული ზეგავლენა რემოდელირების პროცესზე პოსტინფარქტულ პაციენტებში.

საკვანძო სიტყვები: მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, რემოდელირება, პრელუქტალი, პრესტარიუმი

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის განვითარების პირველივე საათებიდან იმატებს პლაზმის რენინისა და ანგიოტენზინ II (ატII) კონცენტრაცია. ატII

იწვევებს ძლიერ ვაზოკონსტრიქციას, პირდაპირ ტოქსიკურ ზემოქმედებას მიოკარდიუმზე, ალდოსტერონისა და სხვა ნეიროჰორმონების სტიმულაციას. ყოველივე ამის შემდეგ ძლიერდება იშემია. ცირკულირებადი და ქსოვილოვანი რენინანგიოტენზინის (რას) მონაწილეობით მიმდინარეობს მარცხენა პარკუჭის (მპ) პოსტინფარქტული რემოდელირება. მიოკარდიუმის ინფარქტის მწვავე და ქვემწვავე პერიოდში განვითარებულ ცვლილებებს გამოხატავს ტერმინი “ადრეული რემოდელირება” [1, 3, 6, 7]. ის მოიცავს პარკუჭის როგორც ინფარცირებულ, ისე დაუზიანებელ რეგიონში მიმდინარე პროცესებს. კერძოდ, ინფარცირებულ კერაში ხდება კარდიომიოციტების რაოდენობის შემცირება, კოლაგენის დაშლა. ბოჭკოების ურთიერთდაცილების შემდეგ აღინიშნება ინფარცირებული კედლის დაჭიმვა და გათხელება, მატულობს ნეკროზული ზედაპირის ფართი, რასაც ინფარქტის ექსპანსიას უწოდებენ. მპ-ის ქრონიკულ პერიოდში განვითარებულ სტრუქტურულ-გეომეტრიულ ცვლილებებს გამოხატავს ტერმინი “გვიანი რემოდელირება”. ის ძირითადად მოიცავს მპ-ის არაინფარცირებულ რეგიონს, სადაც ვითარდება ინტერსტიციარული ფიბროზი. მიოკარდიუმში მიმდინარე სტრუქტურულ პროცესებს თან ახლავს პარკუჭის გეომეტრიის შეცვლა, ვითარდება დილატაცია, იცვლება პარკუჭის ფორმა, მატულობს მისი სისტოლურ-დიასტოლური სფერულობა, რაც განაპირობებს მის შემდგომ დილატაციას. მას მოსდევს სისტოლური დისფუნქციის განვითარება [5, 11]. მპ-ის სისტოლური და დიასტოლური სფერულობის ზრდა წარმოადგენს ბშ-ის პროგრესირების პრედიქტორს. ბშ-ინჰიბიტორები მოქმედებს ორი მექანიზმით. ერთი მხრივ, აბII-ის არასასურველი ეფექტების შესუსტება და, მეორე მხრივ, ბრადიკინინის დადებითი მოქმედების გაძლიერება განაპირობებს მპ-ის პოსტინფარქტული რემოდელირების შეჩერებას. მიოკარდიუმის იშემიით გამოწვეული მეტაბოლიზმის დარღვევები ნაწილობრივ შეიძლება ლიკვიდირებულ იქნას მეტაბოლური პრეპარატებით, კერძოდ პრედუქტალით [2, 4, 8, 9], იგივე ტრიმეტაზიდილით (ფირმა “სერვიე” 3 კეტილაცილ-კოა-ტიოლაზის სელექტიური ინჰიბიტორით), რომელიც ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვის ინჰიბიტორების გზით ამცირებს პირუვატის დაჟანგვის პროცესის დათრგუნვას. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პრედუქტალისა და პრესტარიუმის კომბინირებული თერაპიის ზეგავლენის შესწავლა მპ-ის რემოდელირებაზე პოსტინფარქტულ პერიოდში.

მასალა და მეთოდები

გამოკვლევულ იქნა 152 ავადმყოფი (94 მამაკაცი და 58 ქალი) 45-დან 68 წლამდე ასაკის მიოკარდიუმის მწვავე წინა კედლის Q-კბილოვანი ინფარქტის დიაგნოზით დაავადების დაწყებიდან 12 თვის განმავლობაში. I საკვლევ ჯგუფში შევიდა 92 ავადმყოფი, რომლებიც ბაზისურ თერაპიასთან ერთად იღებდნენ პრედუქტალს დოზით 60 მგ დღეში. II – საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 60-მა ავადმყოფმა, რომლებიც იღებდნენ ბაზისურ თერაპიას (პრესტარიუმს, შარდმდენებს, ნიტრატებს, ბეტა-ბლოკატორებს, ასპირინს, ანტიკოაგულაციას და ა.შ.). საკვლევი ჯგუფიდან

გამოვრცხეთ პაციენტები შაქრიანი დიაბეტით, არაკონტროლირებადი არტერიული ჰიპერტენზიით, განმეორებითი ინფარქტით, რიგმის მნიშვნელოვანი მოშლით). პრესტაროუმის საწყისი დოზა იყო 4 მგ, რომელსაც ვზრდიდით 8 მგ-მდე.

განდევნის ფრაქციის (ბზ) მიხედვით გამოვყავით ორი ქვეჯგუფი. I ქვეჯგუფი – 66 ავადმყოფი, განდევნის ფრაქციის მცირე დაქვეითებით, ბზ > 45%. ამ ქვეჯგუფში საკვლევი ჯგუფიდან შევიდა 42 ავადმყოფი, საკონტროლო ჯგუფიდან – 24.

II ქვეჯგუფი – 86 ავადმყოფი განდევნის ფრაქციის ზომიერი და მკვეთრი დაქვეითებით ბზ < 45% აქ საკვლევი ჯგუფი შეადგინა 50 ავადმყოფმა, საკონტროლო ჯგუფი – 36-მა. მარცხენა პარკუჭის სტრუქტურულ-ფუნქციური მდგომარეობა შეფასებულ იქნა ექოკარდიოგრაფიის მეთოდით “Ultramark 9” (გერმანია) სტანდარტული მეთოდიკით. ექოკარდიოგრაფიული კვლევა ხდებოდა ინფარქტის განვითარებიდან პირველ დღეებში პრედექტალის დანიშნამდე და დანიშნიდან 1, 3, 6-12 თვის შემდეგ. ისაზღვრებოდა მარცხენა პარკუჭის საბოლოო სისტოლური და დიასტოლური ზომები და მოცულობები (მპსსმ და მპსდმ), პარკუჭთაშუა ძგიდის სისქე, უკანა კედლის სისქე, მპ-ს განდევნის ფრაქცია (ბზ), დარტყმითი მოცულობა (დმ), წინა-უკანა ზომის დამოკლების ხარისხი სისტოლაში შპ%, მპ-ის მასა, მასის ინდექსი (მასის შეფარდება სიმაღლესთან). მპ-ის მასის განსაზღვრას ვაწარმოებდით მნ-ის კონვენციის მეთოდით $LV_{mass} = 0,8 \times [1,0 \times (LV_{Dd} + PW_{d} IV_{Sd}) - LV_{Dd}] + 0,6$ გ. მპ-ის მასის ინდექსი (მასის შეფარდება სიმაღლესთან) ნორმაში ქალებისთვის < 103 გ/მ-ზე, მამაკაცებისთვის < 144 გ/მ-ზე. გაზომვებს ვაწარმოებდით ამერიკის ექოკარდიოგრაფთა ასოციაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით. მარცხენა პარკუჭის შედარებით სისქეს ვსაზღვრავდით შემდეგი ფორმულით $LLV_{aveT} = (PW_{d} + IV_{Sd}) / LV_{Dd}$, ნორმალური მაჩვენებელი < 0,44. მიღებული მონაცემების საფუძველზე ხდებოდა გულის გეომეტრიული ტიპის დადგენა, რისთვისაც ვიყენებდით A. Ganau-ს და თანაავტორების კლასიფიკაციას [12]. ამ კლასიფიკაციის მიხედვით გამოყოფენ რემოდელირების 4 ტიპს. ნორმა – მასა ნორმალური, ინდექსი < 0,44. კონცენტრული ჰიპერტროფია – მასა მომატებული, ინდექსი $\geq 0,44$. ექსცენტრული ჰიპერტროფია – მასა მომატებული, ინდექსი < 0,44. კონცენტრული რემოდელირება – მასა ნორმალური, ინდექსი $\geq 0,44$. კვლევას გამოეთიშა 19 ავადმყოფი. კვლევა დაამთავრა 133 ავადმყოფმა (52 საკონტროლო ჯგუფიდან, 81 საკვლევი ჯგუფიდან). კვლევადან გამოთიშვის მიზეზი იყო სიკვდილი, განმეორებითი ინფარქტი, მოციმციმე არტემია. მიღებული შედეგების სტატისტიკურ სარწმუნოებას ვამოწმებდით სტიუდენტის t-ტესტით.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთი თვის შემდეგ ექოკარდიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ჯგუფებში სტატისტიკურად

სარწმუნო ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. სამი თვის შემდეგ პრედუქტალის ჯგუფში აღინიშნა მკვლელობის სარწმუნო შემცირება 5,1%-ით ($p < 0,05$). დაბალი განდევნის მქონე ავადმყოფებში (II ქვეჯგუფი), სადაც ბზ $< 45\%$, პრედუქტალის ჯგუფში მკვლელობა შემცირდა 6,2%-ით ($p < 0,05$) ამავე ჯგუფში გაიზარდა ბზ, შპ და ღმ 11,5%-ით, 9,8% 1,7%-ით ($p < 0,05$) შესაბამისად. ავადმყოფებში, რომელთაც ბზ $> 45\%$ (I ქვეჯგუფი), ასევე ადგილი ჰქონდა ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების ზრდას 10,9%-ით, 2,4% და 1,4%-ით, შესაბამისად ($p < 0,05$). საკონტროლო და საკვლევ ჯგუფებს შორის ამ მაჩვენებლების მხრივ აღინიშნა სარწმუნო სხვაობა. 6 თვის დაკვირვების შემდგომ პერიოდში გამოვლინდა ორივე ჯგუფში სმ და სსმ სარწმუნო შემცირება, მკ-ს მასის შემცირება, უპირატესად კი პრედუქტალის ჯგუფში. საკვლევ ჯგუფში სარწმუნოდ გაიზარდა გვ, შპ და ღმ 19%-ით 28,5%, 9,8%-ით ($p < 0,05$) მსუბუქად დაქვეითებული განდევნის ქვეჯგუფში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ცენტრალური ჰემოდინამიკის მაჩვენებლების დინამიკა
პირველ ქვეჯგუფში (ბზ $> 45\%$)

მაჩვენებელი	I ჯგუფი			II ჯგუფი		
	საწყისი	6 თვე $\Delta\%$	12 თვე $\Delta\%$	საწყისი	6 თვე $\Delta\%$	12 თვე $\Delta\%$
მკმ, მლ	135,0 \pm 5,4	4,1 ^ა	-8,0 ^ბ	139,9 \pm 6,5	-3,5 ^ა	-5,1 ^ა
მპმ, მლ	64,9 \pm 3,5	-12,2 ^ა	-17,9 ^ბ	70,4 \pm 4,2	-8,6 ^ა	-12,0 ^ა
ბზ%	47,1 \pm 1,1	19,0 ^ა	24,0 ^{ბ,ა}	47,0 \pm 1,2	10,2 ^ა	13,2 ^ბ
ღმ, მლ	70,3 \pm 2,1	9,8 ^ა	10,1 ^ა	69,8 \pm 2,6	8,4 ^ა	8,4 ^ა
შპ%	25,1 \pm 1,0	28,5 ^ა	18,0 ^{ბ,ა}	25,1 \pm 1,1	12,6 ^ა	11,3 ^ა
მკ მასა	110,6 \pm 9,0	-2,0 ^ა	-2,9 ^ა	112,9 \pm 10,0 ^ა	-2,0 ^ა	-6,3 ^ა

შენიშვნა: ა – სარწმუნო სხვაობა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით ($p < 0,05$) და ბ – ($p < 0,01$); გ – სარწმუნო განსხვავება ჯგუფებს შორის ($p < 0,05$);

ასევე მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებლების ზრდა საკონტროლო ჯგუფში. დაბალი განდევნის ქვეჯგუფში პრედუქტალის ჯგუფში ბზ, შპ და ღმ გაიზარდა 21%-ით 31%, 11,7%-ით ($p < 0,05$). საკონტროლო ჯგუფში კი გაიზარდა 11,65%-ით, 14,8% 9,6%-ით, შესაბამისად. 6 თვის შემდეგ ბზ, შპ და ღმ ზრდა უფრო მეტად გამოიხატა II ქვეჯგუფში, სადაც ბზ $< 45\%$. 12 თვის შემდეგ პრედუქტალის ჯგუფში აღინიშნა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით ბზ ზრდა 30,1%-ით ($p < 0,01$), რაც 1,5-ჯერ მეტია საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებზე (ბზ გაიზარდა ამ ჯგუფში 19,2%-ით ($p < 0,01$)). I ქვეჯგუფში ბზ გაიზარდა 24%-ით, საკონტროლო ჯგუფში 13%-ით. ამ მაჩვენებლების მიხედვით ჯგუფებს შორის სხვაობა იყო სარწმუნო. მკ-ის

მასა სარწმუნოდ შემცირდა ორივე ჯგუფში, პრედუქტალის ჯგუფში ეს სხვაობა უფრო გამოხატული იყო (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ცენტრალური ჰემოდინამიკის მაჩვენებლების დინამიკა
მეორე ქვეჯგუფში (ბმ < 45%)

მაჩვენებელი	I ჯგუფი			II ჯგუფი		
	საწყისი	6 თვე Δ%	12 თვე Δ%	საწყისი	6 თვე Δ%	12 თვე Δ%
მპსმ, მლ	207,1 ± 17,5	-5,3 ^ა	-14,2 ^ბ	172,2 ± 5,5	-2,2 ^ა	-12,2 ^ა
მპსპ, მლ	133,1 ± 12,9	-13,1 ^ა	-26,1 ^ბ	109,3 ± 4,0	-5,7 ^ა	-20,5 ^ა
ბოშ%	35,3 ± 1,0	21,0 ^ა	30,1 ^{ბ,ა}	34,4 ± 0,6	11,6 ^ა	19,2 ^ბ
ღმ, მლ	71,5 ± 2,1	11,7 ^ა	13,6 ^ა	63,6 ± 2,2	9,6 ^ა	10,6 ^ა
შოშ%	17,9 ± 1,0	31,0 ^ა	32,7 ^{ბ,ა}	20,2 ± 0,7	14,8 ^ა	19,5 ^ა
ბმ მასა	227,8 ± 16,0	-1,7 ^ა	-3,6 ^ა	227,0 ± 18,2	-2,9 ^ა	-5,6 ^ა

შენიშვნები იგივეა, რაც ცხრილში 1

12-თვიანი თერაპიის შემდეგ აღინიშნებოდა მპ-ის სისტოლური მაჩვენებლების გაუმჯობესება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. მპ-ის სისტოლურ ფუნქციაზე ზემოქმედების მხრივ გამოვლინდა პრედუქტალის უპირატესი ეფექტურობა იმ ავადმყოფებში, რომელთაც მეტად ჰქონდათ გამოხატული მპ-სისტოლური დისფუნქცია. ამრიგად, შეიძლება ვიმსჯელოთ პრედუქტალისა და პრესტარიუმის კომბინირებული თერაპიის უფრო გამოხატულ ზეგავლენაზე რემოდელირების პროცესზე პოსტინფარქტულ პაციენტებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრედუქტალი შესაძლოა ზრდის აბმ-ს მოქმედებას. მისი ანტიოქსიდანტური მოქმედება ამცირებს დაზიანების ხარისხს და კარდიომიოციტების აპოპტოზს.

ლიტერატურა

1. *Васюк Ю.А., Хаджеганова А.Б., Ющук Е.Н.* Сердечная недостаточность, 2001, 4, 180-186.
2. *Мартынов А.И., Васюк Ю.А., Ющук Е.Н.* Клиническая фармакология и терапия, 2001, 4, 37-39.
3. *Флоря В.Г., Мареев В.Ю., Самко А.Н.* Кардиология, 2002, 2, 10-15.
4. *Терещенко С.Н., Акимов О.С., Демидова И.В.* Кардиология, 2004, 9, 48-52.
5. *Терещенко С.Н., Демидова И.В., Кобалава Ж.Д.* Тер. Архив, 1999, 1, 42-46.
6. *Anversa P., Loud A.V. et al.* Am. J. Physiol., 1998, 248 (Suppl.), H883-H889.
7. *Bassand J.P.* Eur. Heart J., 1996, 16 (Suppl.), 58-63.
8. *Belardmelli R., Purcaro A.* Eur. Heart J., 2001, 22, 2164-2171.
9. *Brottier L., Barat J., Combe C.* Eur. Heart J., 1999, 11, 2007-2012.
10. *Chierchia S.L.* Eur. Heart J., 2001, 3 (Suppl.), 016-021.
11. *Cohn J.N.* Ibid, 1996, 91, 2504-2507.
12. *Ganau A., Deveroux R.B., Roman M. J. et al.* JACV, 1992, 19, 1550-1558.

ЭФФЕКТ КОМБИНИРОВАННОЙ ТЕРАПИИ ПРЕДУКТАЛА С ПРЕСТАРИУМОМ НА РЕМОДЕЛИРОВАНИЕ И ФУНКЦИОНАЛЬНОЕ СОСТОЯНИЕ ЛЕВОГО ЖЕЛУДОЧКА В ПОСТИНФАРКТНОМ ПЕРИОДЕ

Н. Джинджолия, И. Мегреладзе

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Целью исследования являлось изучить влияние комбинированной терапии предуктала с престариумом на ремоделирование левого желудочка после инфаркта миокарда. Было исследовано 152 больных с острым инфарктом передней стенки ЛЖ с зубцом Q и с хронической сердечной недостаточностью (II-III класса по NYHA). В I группу вошли больные, на фоне стандартной терапии принимавшие предуктал по 20 мг 3 раза в день. II – контрольную группу (60 человек) составили больные, принимавшие стандартную терапию (престариум, β -блокаторы, мочегонные). Больные были разделены на две подгруппы (ФВ > 45% и ФВ < 45%). Эхокардиографическое исследование проводили через несколько дней и после 1, 3, 6 и 12 месяцев после начала ИМ. Оценивали следующие параметры ЛЖ: КДО, КСО, ФВ, УО, ФУ, массу ЛЖ, индекс массы и относительную толщину ЛЖ. Через 6 и 12 мес. отмечалось достоверное уменьшение КДО и КСО, повышение ФВ, УО, ФУ достоверно, но особенно выражено в группе предуктала. В этой же группе (во II подгруппе) имело место достоверное увеличение ФВ на 30,1% ($p < 0,05$), которое было в 1,5 раза больше, чем в контрольной группе. Отмечалось повышение УО и ФУ, соответственно на 13,6% и 32,7% ($p < 0,05$). Достоверно уменьшилась масса ЛЖ, особенно в группе предуктала. Применение предуктала в течение 12 мес. оказывает положительное влияние на систолическую функцию ЛЖ, которое более выражено у больных с низким выбросом. Можно отметить выраженное влияние комбинированной терапии предуктала с престариумом на ремоделирование ЛЖ.

EFFECT OF COMPLEX THERAPY WITH PREDUCTAL AND PRESTARIMUM ON REMODELING AND FUNCTIONAL STATE OF THE LEFT VENTRICLE IN POSTINFARCTION PERIOD

N. Jinjolia, I. Megreladze

Tbilisi State Medical University

SUMMARY

The aim of the study was to estimate the efficiency of complex therapy with preductal and prestarium on the left ventricular remodeling after myocardial infarction (MI). We investigated 152 patients with acute MI of anterior wall (Q wave) and Heart Failure (II-III class by NYHA). I group included 92 patients who were treated by preductal (60 mg daily) on the background of the standard therapy. II group (60 patients) was treated by standard therapy (ACE inhibitor, diuretic, β -blockers). The patients have been divided in 2 subgroups, with EF > 45% and EF < 45%. Echo

investigation was performed after several days and after 1, 3, 6, 12 months from the beginning of MI. We estimated LV EDV and ESV, EF, FS, SV and LV mass, LV comparative thickness. After 6 and 12 months decreased EDV, ESV and LV mass, increased EF, FS, SV (in both groups) were noted, but especially in the I gr. The patients, who had $EF < 45\%$ and were treated with preductal improved EF up to $30,1\%$ ($p < 0,05$), which was 1,5 times more than in the control group, increased FS and SV by $32,7\%$ and $13,6\%$ ($p < 0,05$) were also observed. The treatment with preductal during 12 months indicates its positive influence on the LV systolic function, which is most significant in the patients with low EF. It can be noted that complex therapy with preductal and prestarium has the significant influence on LV remodeling.

რეცენზია

სახელმძღვანელოზე “სამედიცინო ბიოლოგია”

(რედაქტორი - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი ნ.ხშიტია, თბილისი 2007 წელი)

მედიცინის განვითარების ისტორია დამაჯერებლად მიუთითებს მის მჭიდრო კავშირზე ბიოლოგიურ მეცნიერებებთან. ყოველი მნიშვნელოვანი წარმატება ცოცხალი მატერიის შემეცნების სფეროში უცილობლად განაპირობებს პროგრესს პრაქტიკულ მედიცინაში. ამრიგად, მედიცინის განვითარება პირველყოფლისა დამოკიდებულია იმ ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაზე, რომელთა პრაქტიკულ დარგს იგი წარმოადგენს.

გამომდინარე აქედან, მეტად მნიშვნელოვანია მომავალი ექიმები სრულფასოვნად ერკვეოდნენ ისეთ ზოგადბიოლოგიურ კანონზომიერებებში, რომლებიც ვლინდება ცოცხალი ორგანიზმების მოლეკულურ-გენეტიკურ, უჯრედულ, ონტოგენეზურ, პოპულაციურ-სახეობრივ და ეკოსისტემურ დონეებზე. აღნიშნულ კანონზომიერებებში გარკვევა სტუდენტს შეუქმნის საფუძველს წარმატებით დაეუფლოს ისეთ ფუნდამენტურ დისციპლინებს, როგორცაა ბიოქიმია, ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია და სხვ. გარდა ამისა, პროგრამის წარმატებით ათვისება სტუდენტებს დაეხმარება სხვადასხვა დაავადებების ეტიოლოგიის დადგენაში, რომლებსაც გენეტიკური ან ინვაზიური საფუძველი გააჩნია.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი, სრულფასოვნად არის განხილული უჯრედის მოლეკულური ბიოლოგიის და გამრავლების და განვითარების ბიოლოგიის ფუნდამენტური საკითხები. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო მეტად კარგად არის ილუსტრირებული, რაც სტუდენტებს მნიშვნელოვნად დაეხმარება მასალის ათვისებაში.

სახელმძღვანელო სტუდენტებს მისცემს საშუალებას არა მხოლოდ აითვისონ განსახილველი კურსი, არამედ ლოგიკურად გაიღრმავონ ცოდნა ფუნდამენტურ ბიოლოგიურ და სამედიცინო დისციპლინებში (ბიოქიმია, ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია), რის საფუძველზეც ჩამოუყალიბდებათ უნარი სწორად შეაფასონ მორფო-ფიზიოლოგიური პათოლოგია, ცოცხალი სისტემის ნორმალური ჰომეოსტაზური დინამიკის გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოს ავტორს განსაზღვრული აქვს უახლოეს მომავალში გამოსცეს “სამედიცინო ბიოლოგიის” მეორე ნაწილი, რომელშიც განხილული იქნება სამედიცინო ეკოლოგიის ძირითადი საკითხები. გამომდინარე აქედან, სტუდენტებს შეექმნებათ საფუძველი (სხვა დისციპლინების შეს-

წავლის პარალელურად) სრულფასოვნად გაერკვნენ სხვადასხვა დანაკარგების ეტიოლოგიის დადგენაში, რომლებსაც მოლეკულურ-გენეტიკური ან ინვაზიური საფუძველი გააჩნია.

ვთვლი, რომ “სამედიცინო ბიოლოგიის” სახელმძღვანელო უდავოდ იმსახურებს დადებით შეფასებას.

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის
 სამედიცინო ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
 პროფესორი *გ. კანდელაკი*

РЕЦЕНЗИЯ

НА РУКОВОДСТВО “МЕДИЦИНСКАЯ БИОЛОГИЯ”

(РЕДАКТОР – ДОКТОР БИОЛОГИЧЕСКИХ НАУК,

АССОЦИИРОВАННЫЙ ПРОФЕССОР Н. ХВИТИЯ, ТБИЛИСИ, 2007 г.)

REVIEW

OF A HANDBOOK “MEDICAL BIOLOGY”

(EDITOR – DOCTOR OF BIOLOGY,

ASSOCIATED PROFESSOR N. KHVITIA, TBILISI, 2007)

ჟურნალი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია – A” ბეჭდავს ექსპერიმენტული ბიოლოგიისა და მედიცინის დარგის სამეცნიერო წერილებს, რომელთა შინაარსი, მეთოდოლოგია და დასკვნები ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის, მორფოლოგიის და ბოქიმის პრობლემებს ეხება. თეორიული და მიმოხილვითი ხასიათის წერილები იბეჭდება მხოლოდ სარედაქციო კოლეგიასთან წინასწარი შეთანხმებით.

წერილები მიიღება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე (ავტორთა სურვილი-სამებრ). ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს უნდა დაერთოს სამ ენაზე (ქართულ, რუსულ და ინგლისურზე) დაწერილი რეზიუმე (არა უმეტეს 250 სიტყვისა, მაგრამ არანაკლებ 10000 ნაბეჭდი ნიშნისა). სამივე რეზიუმე მკაცრად ერთი შინაარსისა უნდა იყოს. რეზიუმე უნდა შეიცავდეს სათაურს, ავტორებს და დაწესებულებას, რომელშიც შესრულებულია ნაშრომი. რეზიუმე მაქსიმალურად ინფორმატიული უნდა იყოს – მასში უნდა იყოს შრომის მიზანი, მეთოდიკა, მიღებული შედეგები და მათი განსჯა.

წერილის მოცულობა, რეზიუმეების და ილუსტრაციების ჩათვლით არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. უფრო დიდი მოცულობის წერილის ბეჭდვა უნდა შეთანხმდეს რედაქციასთან. ორიგინალური ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს სტანდარტული რუბრიკაციით: **შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, ლიტერატურა**. უკანასკნელი მკაცრად ანბანით (ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და ბოლოს ლათინურ-ანბანოვან ენებზე) უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი. დამოწმებული ლიტერატურა ტექსტში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ნომრებით, კვადრატულ ფრჩხილებში. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს ე.წ. საკვანძო სიტყვების მოკლე (4-6) სია, ლიტერატურის სიაში უნდა იყოს მითითებული: ავტორები (გვარები, ინიციალები), ჟურნალის (წიგნის) სახელწოდება, წელი, ტომი, პირველი და ბოლო გვერდები. წიგნის ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქალაქისა და გამომცემლობის მითითება (მაგ.: თბილისი, მეცნიერება). შრომათა კრებულის შემთხვევაში საჭიროა რედაქტორის (რედაქტორების) ინიციალების და გვარების მითითება.

გამოსაქვეყნებელი წერილი რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ქაღალდზე ამობეჭდილი (2 ცალად), ისე ელექტრონული ფორმით – კომპიუტერულ დისკეტზე. კომპიუტერზე ტექსტის აკრეფისას ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი წესები: ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს ფონტებით AcadNux ან AcadMtavr (ან სხვა ფონტებით, რომლებიც ლათინურ კლავიატურაზეა დამოკიდებული). რუსული და ინგლისური ტექსტები აუცილებლად Times New Roman-ით უნდა იყოს აკრეფილი. ფონტის ზომა ყველგან – 12, სტრიქონთაშორის ინტერვალი – 1,5. ცხრილებში დასაშვებია ნაკლები ზომის ფონტი. ცხრილები უნდა დამზადდეს ან Microsoft Word-ში ან Excel-ში, ცხრილებზე აგებული გრაფიკები კი აუცილებლად Excel-ში. უკანასკნელის შემთხვევაში, სათანადო ფაილი (ფაილები) ცალკე უნდა იყოს ჩაწერილი დისკეტზე. მკაფიო შავ-თეთრი გრაფიკები და სხვა სურათები მიიღება ორიგინალების სახითაც (არაელექტრონული). ფერადი სურათები ჟურნალში არ იბეჭდება. დისკეტზე წარმოდგენილი წერილი უნდა შეიცავდეს ტექსტს და ცხრილებს (Word-ში) – ცალკე ფაილად, და სხვა სურათებს – ცალკე ფაილად. ფაილის ან ფოლდერის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი. კომპიუტერული დისკეტები მანამდე უხმარი და ვირსებისგან თავისუფალი უნდა იყოს და არ უნდა შეიცავდეს სხვა დოკუმენტებს. დისკეტები ავტორს არ უბრუნდება. ილუსტრაციების ჩაკაბადონება ტექსტში დაუშვებელია. ისინი ცალკე გვერდებზე უნდა იყოს ამობეჭდილი. სურათების წარწერები წერილის ბოლო გვერდზე (გვერდებზე) უნდა იყოს აკრეფილი.

წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატის ქაღალდზე, ველებით: ზევით - 2,5 სმ, მარცხნივ - 3 სმ და მარჯვნივ - 2 სმ.

წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა თანაავტორის მიერ. ბოლო გვერდზე მითითებული უნდა იყოს პასუხისმგებელი თანაავტორის მისამართი და ტელეფონის ნომერი (ნომრები). წერილს თან უნდა ახლდეს წამყვან ავტორთა დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგინება.

ჟურნალის ბეჭდვა ავტორთა ხარჯებით ხორციელდება. ბეჭდვის თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს წერილზე დადებითი რეცენზიის მიღებისთანავე, რეცენზენტის მიერ წერილის დაწუნების შემთხვევაში, ავტორს უბრუნდება მისი ხელნაწერის ერთი პირი, ხოლო დისკეტი ინახება რედაქციაში ერთი წლის განმავლობაში.

წერილების სამეცნიერო რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის შენიშვნები. უკანასკნელ შემთხვევაში წერილი დამატებითი რეცენზირებისთვის გაეგზავნება სარედაქციო საბჭოს ერთ-ერთ წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში წერილი ავტორს უბრუნდება უპირობოდ.

ყველა გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იბეჭდება რუსეთის რეფერატიული ჟურნალის სათანდო სერიაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური რეგულირების სააგენტოს გადაწყვეტილებით, ავტორებს, რომელთაც გამოქვეყნებული ექნებათ სამეცნიერო წერილი ჟურნალში "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია - A", მიენიჭებათ 10 შპბ ქულა (კრედიტ-ქულა), თითოეული წერილის გამოქვეყნებისთვის. აღნიშნული ქულები მიენიჭება წერილის თითოეულ თანაავტორს თანაბრად.

რედაქციაში წერილების ჩაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, დღის 12-სთ-დან 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლევან გოთუას ქ. 14, ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, IV სართ., ოთახი № 412: პროფ. ნოდარ მთავარია - ტელ. 37-21-50 (სამს.), 69-66-42 (ბ.), 899-304-104 (მობილური) ან ოთახი № 415: პროფ. გურამ ბეჭია - ტელ. 37-42-16 (სამს.), 95-27-75 (ბ.), 899-587-027 (მობილური) ან დოქტორ სოხაძე - ტელ. 23-15-93 (სამს.), 899-298-348 (მობილური) (ი. ჭავჭავაძის გამზ. 29, III სართ., პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია).